

# ჰენრი ნორმანის



ცნობები  
საქართველოს  
და კავკასიის შესახებ



### **ჰენრი ნორმანი, სრულიად რუსეთი:**

მოგზაურობა და გამოკვლევები თანამედროვე ევროპულ რუსეთში, ფინეთში, ციმბირში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ნიუ-იორკი 1902

### **Henry Norman, All the Russias:**

Travels and Studies in Contemporary European Russia, Finland, Siberia, the Caucasus, and Central Asia. New York, Charles Scribner's Sons 1902

ინგლისურიდან თარგმნა **ნათია მეჩითიშვილი**  
რედაქტორი **გიორგი სორდია**




ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM) არის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას და ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

© ნათია მეჩითიშვილი, გიორგი სორდია, 2019

© ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2019

**შინაარსი:**

წინასიტყვაობა ..... 3  
ყინულოვანი კავკასია ..... 4  
საქართველოს გზა ..... 11  
თბილისი გზაჯვარედინზე ..... 21  
ბაქოს ნავთობჭაბურღილები ..... 31



## წინასიტყვაობა

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი წარმოგიდგინთ მორიგ პუბლიკაციას ჩვენი „თარგმანების სერიიდან“. ამჯერად გთავაზობთ ბრიტანელი პუბლიცისტის და დიპლომატის ჰენრი ნორმანის (1858-1939) წიგნის „სრულიად რუსეთი: მოგზაურობა და გამოკვლევები თანამედროვე ევროპულ რუსეთში, ფინეთში, ციმბირში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“ ნაწილობრივ თარგმანს. წიგნი გამოცემულია 1902 წელს, რომელშიც რუსეთის იმპერიაში ავტორის მოგზაურობაა აღწერილი.

წიგნს ღირებულება აქვს ქართველი მკითხველისთვისაც, რადგან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დეტალურად აღწერს ავტორის მოგზაურობას საქართველოსა და კავკასიის სხვა მხარეებში. ჰენრი ნორმანი საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან, საქართველოს სამხედრო გზის გავლით შემოვიდა, იმყოფებოდა თბილისში, მოგზაურობა კი დაასრულა ბაქოში. ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ კავკასიის მთიანეთის, ასევე ადგილობრივი ტრადიციების და ეთნოგრაფიული თავისებურებების აღწერა. წიგნში განსაკუთრებით საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი თბილისის შესახებ, გადმოცემულია ავტორის თვალთ დასახული თბილისური ყოველდღიურობა, ქალაქის ინფრასტრუქტურა, თუ არქიტექტურა, იმ დროს თბილისში მცხოვრები ხალხები, მათი ჩაცმულობა და ზნე-ჩვეულებები. კავკასიის აღწერას წიგნში ოთხი თავი ეთმობა. წინამდებარე გამოცემაში ოთხივე თავის თარგმანი უცვლელად არის წარმოდგენილი.

ჰენრი ნორმანი წლების მანძილზე ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ გამოცემებთან როგორებიც იყო „პალ მალ გაზეთე“ და „ნიო იორკ თაიმსი“, მისი მთავარი ინტერესის სფერო კი გახლდათ რუსეთის და შორეული აღმოსავლეთის პოლიტიკა და საზოგადოება. მე-19 საუკუნის ბოლოს მან ოთხჯერ იმოგზაურა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში, რაც საბოლოო ჯამში დასრულდა კიდევ წარმოდგენილი პუბლიკაციის გამოქვეყნებით. ჰენრი ნორმანს ასევე ეკუთვნის წიგნები იაპონიის (1892) და შორეული აღმოსავლეთის (1895) შესახებ.

აღსანიშნავია, რომ წიგნი უხვად არის ილუსტრირებული ფოტოებით, რომელთა უმეტესობა თავად ავტორის გადაღებულია, ნაწილი კი მანვე შეიძინა მოგზაურობის დროს. კავკასიის შესახებ წიგნში შესულია ოცდასამი ფოტოილუსტრაცია. წინამდებარე პუბლიკაციისათვის კი ჩვენ შევარჩიეთ ცამეტი ფოტო და ერთი რუკა. ილუსტრაციების დიგიტალიზაცია განხორციელდა წიგნის ორიგინალი გამოცემიდან, რომელიც ინახება ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

**გიორგი სორდია**

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის  
შესწავლის ცენტრის დირექტორი

## ყინულოვანი კავკასია

სმუდარიიდან მოყოლებული ჩრდილოეთის პოლარულ წრემდე და ყარსიდან კამჩატკამდე რუსეთის მეფეს ბევრი უცნაური ხალხი და ქვეყანა ჰყავდა თავისი მმართველობის ქვეშ, მაგრამ კავკასიისა და მისი ხალხების მსგავსი ძნელად თუ მოიძებნება მთელს მსოფლიოში. მართლაც, თუ ვინმე კავკასიაში მოხვედრილა უთქვამს კიდეც, ამისთანა დედამიწის ზურგზე არაფერი მინახავსო. და არც თუ უმიზეზოდ. კავკასია, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ვიწრო სახმელეთო ყელის გასწვრივ მდებარე მთათა სისტემაა, რომელსაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოხეტიალე ხალხები ჯერ კიდევ იმ დროიდან კვეთდნენ, როცა ადამიანებმა სულ პირველად დაიწყეს მოგზაურობა შორეულ მანძილებზე. მათი შთამომავლები დარჩნენ კიდეც კავკასიის სხვადასხვა ხეობებში, უვლიდნენ რა კარ-მიდამოს და იცავდნენ მათ შემდგომ ჩამოსახლებული ხალხებისაგან, ამის შედეგად მოახერხეს, რომ მათი მოდგმა გამრავლდა და გაიზარდა კიდეც რიცხოვნობით. დღესდღეობით, კავკასიაში სახლობს იმ პირველმოსახლეთა შთამომავლობა, რომელთა გენიც სხვაგვარად ისტორიის წარსულში ჩაიკარგებოდა. კავკასიის ერთ-ერთი პირველი აღმომჩენისა და მთასვლელის დაგლას ფრეშფილდის<sup>1</sup> თქმისა არ იყოს, კავკასია, ესაა „დასავლეთისაკენ მოძრავი ევროპის დამპყრობელთა მიერ შექმნილი ეთნოლოგიური მუზეუმი, რომლებმაც გზად კავკასიაში თავიანთი შთამომავლობა დატოვეს და თანაც პირვანდელ მდგომარეობაში“. გერმანელები, რომლებიც საკრალურ თუ მიწიერ ლეგენდებს ერთნაირი წარმატებით უარყოფენ, არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. პროფესორი ვირხოვი<sup>2</sup> აღნიშნულ თეორიას აბათილებს იმ არგუმენტით, რომ კავკასია ვერ იქნებოდა იმ დროისათვის ცენტრალური მაგისტრალი, სადაც ხალხთა მასობრივი მოძრაობა გახდებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, კავკასიაში გავრცელებული ენები არც ერთ სხვა ენებს არ ენათესავება, რაც ძნელად ასახსნელია, თუმცა ეს ასე არ იქნებოდა კავკასია რომ მართლაც ხალხთა მასობრივი მიგრაციის კერა ყოფილიყო. ამავე დროს ადამიანის წარმოშობის თეორიები იმდენად უჩვეულო და თავისთავადია, რომ ძალაუვნებურად სურვილი მიჩნდება გავიზიარო ერთ-ერთი ამერიკელი იუმორისტის გამონათქვამი „იცოდე ზოგიერთი რაღაც, რაც სინამდვილეში ასე არაა.“ ყოველ შემთხვევაში სკეპტიკოს გერმანელებს მოუწევთ იმ კლასიკური მითის აღიარება მაინც, რომლის თანახმად პრომეთე კავკასიის ქედზე აწამეს, ხოლო აბრაამის კარავი მის ფერდობზე იყო გაშლილი და ქრისტეს აკვანიც იქვე ირწეოდა. სინამდვილეში, კავკასია თავისი ბუნებიდან გამომდინარე მითების პირმშო ადგილად გვევლინება, რადგან

<sup>1</sup> დაგლას ფრეშფილდი (1845-1934) იყო ცნობილი ინგლისელი ალპინისტი და გეოგრაფი. მისი ალპინისტური საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთანაც. დალაშქრული აქვს კავკასიონის არაერთი მწვერვალი, ასევე აღსანიშნავია მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს როგორც ალპინიზმის, ასევე კავკასიის და საქართველოს ეთნოგრაფიის შესახებ (რედ.)

<sup>2</sup> რუდოლფ ვირხოვი (1821-1902) იყო გერმანელი ექიმი, ბიოლოგი, არქეოლოგი და ანთროპოლოგი (რედ.)



### თათრები

ეს იყო გეოგრაფიული წერტილი, რომლის გადაკვეთას ვერავინ ახერხებდა. ადამიანმაც, თავისი უკიდუგანო ოცნებებისა და წარმოსახვის საპირწონედ სწორედ აქ დაასახლა გოგი და მაგოგი, გრიფები და ცალთვალა ურჩხულები, ამორძალები - ყველა ის ურჩვეულო და საოცარი არსება, რომლებიც მრავლად გვხვდება წიგნებსა თუ ატლასებში. თუმცა, მარტო აღებული კავკასიის ისტორიაც კი ისეთი რომანტიკულია, რომ ის მითებს აღარ საჭიროებს. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ დაიპყრო ალექსანდრე დიდმა საქართველო, როგორ იბრძოდნენ პომპეოსის ლეგიონები და შემდგომში იუსტინიანეს მებრძოლები დარიალის უღელტეხილთან,

მაგრამ ვერც მებრძოლებმა, ვერ ვაჭრებმა ვერ გაიკვალეს გზა სამხრეთით, ისევე როგორც ჩრდილოეთით მოსახლე სკვითებმა ვერ მოახერხეს სამხრეთით გადაადგილება. დარიალის ხეობაში მცხოვრები ხალხის ისტორია დასაბამს იღებს მეფე ფარნავაზით ძვ. წ. აღ-ის მე-3 საუკუნეში და 1300 წელს ითვლის, წმინდა მეფე დავით II-მდე (1089 წ.), რომელმაც გაათავისუფლა ქვეყანა თურქების ურდოებისაგან, ხოლო ქვეყნის აღმშენებლობა დააგვირგვინა მისმა შთამომავალმა უმშვენიერესმა თამარ დედოფალმა, რომლის ზეობა საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანადაა მოხსენიებული.

იმის ნახევარიც თუ სიმართლეა, რასაც თამარ მეფეზე ყვებიან, მაშინ ის უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი დედოფალი, რომელიც კი ტახტზე ასულა, ან მამაკაცთა გულები მოუნადირებია. ისეთი თვალწარმტაცია, რომ შაჰები და სულთნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მისი გულის მონადირებაში, ისეთი არტისტული ნიჭით დაჯილდოებული, რომ ომში მიღწეული თითოეული წარმატება და გამარჯვება დაუვიწყარ ლექსთა სახით შემოგვინახა, ისეთი თავმდაბალი, რომ საკუთარ სარჩენ ლუკმა-პურს თავად გამოიმუშავებდა ყოველდღიური ჯაფით, როგორც დანარჩენები, ისეთი ღვთისმოსავი, რომ ომის ნადავლს უცილობოდ უწილადებდა ქალწულებს, ისეთი მამაცი, რომ არ შეუშინდა სპარსეთის შაჰის მუქარას, რომელსაც ზურგს 800 000 მეომარი უმაგრებდა. მისი წყალობით საქართველო გაბრწყინდა და მისი დიდების ამბავი მთელს მსოფლიოს მოედო. მაგრამ ბედის ბორბალი უკუდმა დატრიალდა აზიის უძლეველი დამპყრობლის ჩინგიზ ხანის გამოჩენით. მის წინაშე თამარის ვაჟი უძლური აღმოჩნდა, ხოლო თამარის ქალიშვილის დედის სადარმა სილამაზემ უცხოელი დამპყრობლები, რომლებიც თამარ დედოფალთან ვერაფერს გახდნენ, კიდევ უფრო გაახელა და საბაბი მისცა შური ეძიათ უწინ განცდილი მარცხის გამო. საქართველო სპარსეთისა და თურქეთის საჯილდაო ქვა გახდა, ქვეყანა დაქუცმაცდა და დაიწყო ქიშპი მის მმართველებს შორის, რასაც მოყვა ხანგრძლივი პერიოდი ინტრიგების, თავების მოკვეთის, თვალების დათხრის, მოწამვლის. შემდეგ კი მოვიდა დიდი ერეკლე ბატონი, რომელზეც ფრიდრიხ დიდმა თქვა: „ევროპაში მე ვარ, ხოლო აზიაში ერეკლე, საქართველოს მეფეო“. საბოლოოდ, 1801 წელს სპარსეთის ფეხქვეშ გართხმულ საქართველოს გადასარჩენად რუსეთი მოევიდნა. მაგრამ მას ჯერ სპარსეთი და თურქეთი უნდა მოეგერიებინა, ასევე კავკასიის შიგნით აჯანყებულები დაეშოშმინებინა. გავიხსენოთ მათ შორის ყველაზე სახელოვანი, ლეგენდად ქცეული შამილი, რომელმაც მთელი კავკასია აამხედრა რუსეთის წინააღმდეგ და 16 წლის განმავლობაში ეურჩებოდა რუსეთს, სანამ 1859 წელს მაღალმთიანი გუნების ციხესიმაგრეში არ დანებდა მტერს. თბილისის საჯარო გალერეაში ჯერ კიდევ ამშვენებს კედელს შამილის დიდი პორტრეტი, სადაც იგი უკან გადაგდებული თავითა და ალისფერი წვერით დგას რუსი დამპყრობლის წინ. როცა სურათს ვუყურებდი, ქართველი გლეხის კაცი მომიახლოვდა და მორიდებულად მკითხა სურათზე გამოსახული კაცი შამილი თუ იყო. „დიახ, ეს შამილია.“ ვუპასუხე მე. „აჰ“ ამოიოხრა მან ხანგრძლივად და ამით ნათელი გახდა ჩემთვის, თუ ჯერ კიდევ რაოდენ მტკივნეულად

განიცდიან კავკასიალები სახელოვანი გმირის დაკარგვას. გმირის, რომლის დამარცხებამაც დაასამარა ამ უძველესი ხალხის ორი ათას წლიანი ისტორიაც და მისი იმედებიც. მაგრამ კავკასიის განსაკუთრებულობა მხოლოდ მისი რომანტიკული ისტორიით არ მთავრდება. საყურადღებოა მისი ეთნიკური მრავალფეროვნებაც. საკმარისია დავასახელოთ აქ მცხოვრები მამაცი ქართველები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ თავიანთ წმინდა ჯვარს ურჯულთა ნამგალა მთვარისაგან, ან ველური ლეზგები მაღალმთიანი დაღესტნიდან, უკმეხი სვანები, ოსები, ეს „მთის ჯენტლმენები,“ აფხაზები, რომლებმაც თურქეთში გადახვეწა ამჯობინეს რუსეთის ბატონობის ქვეშ ყოფნას, შარლატანი, მაგრამ მომხიბვლელი ჩერქეზები, ზარმაცი მეგრელები მცხუნვარე სანაპიროდან. კავკასიის ყველა ეს ეთნოსი, რომელთა მარტო სახელების წარმოთქმაც კი ნებისმიერ ფილოლოგს ცხოვრებას კომმარად უქცევს: იმერელი, რაჭველი, გურული, ლეჩხუმელი, ლაზი, ფშავი, ხევსური, უბიხი, შაფსუდი, ჯიქი, ინგუში, დაღღაი, ქისტის, თუში, კარაბულაკი, ყუმისი! კავკასიონის მთების პეიზაჟი ჰიმალაის სიდიადეს არაფრით არ ჩამოუვარდება და ბევრი თავგადასავლის მოყვარული მთასვლელისათვის საოცნებო დასალაშქრი ადგილია. აქ ნახავთ გარეულ თხას, ირემს, ტახს. ძალიან პოპულარული და გავრცელებულია ფრინველთა ჩხუბი, განსაკუთრებით სხვა ადგილებთან შედარებით, რადგან მასზე ლიცენზიის მოპოვება ძვირია. მართლაც, "ტიფლისსკი ლისტოკის"<sup>3</sup> თანახმად დათვები და მგლები პირდაპირ მწყემსების თვალწინ იტაცებენ საქონელს, ტახები კი მინდორში ჯოგებად დაიარებიან. კავკასია ედემია ბოტანიკოსისთვისაც, აქ კაცს დამალობანა შეუძლია ითამაშოს ყვავილებით მოფენილ მინდორში. აქ შემონახულია „უძველესი ფლორის ნიმუშები.“ თავისი უხვი ნავთობის საბადოებითა და მინერალური რესურსებით კავკასია მხოლოდ განვითარების პატარა ბიძგს ელის, რათა მთელი სამყარო და ეპოქა გააოცოს თავისი ბუნებრივი საგანძურით. დაბოლოს, იგი პოლიტიკის მეცნიერებათა სტუდენტისთვისაც დაკვირვებისა და ინტერესის წყაროა, რამდენადაც სრულიად შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღესაც აქ ერთმანეთს ისევ შეებნან რუსებისა და თურქების ურიცხვი ჯარები, და წარმოიდგინეთ რა მოხდება თუკი ბრიტანეთი და რუსეთი მოიქნევენ მახვილს, და მოსკოვიდან დაძრული მასები ყარსის გავლით საზეიმო მარშით დაირაზმებიან კასპიის მიმართულებით, რათა მდინარე ინდის სანაპიროზე ჰპოვონ საუკუნო განსასვენებელი.

და მაინც, ყველა თვალსაზრისით საინტერესო ეს სავანე, მაინც უცნობი რჩება გარე სამყაროსათვის. ადვილი და კომფორტულია აქ ჩამოსვლა, მისი მთავარი სატრანსპორტო გზები მოწესრიგებულია, ხოლო მთელს რუსეთშიც კი არ მოიძებნება ისეთი ფეშენებელური და კეთილმოწყობილი სასტუმრო, როგორც სასტუმრო ლონდონი იგივე Hotel de Londres როგორც მას ფრანგულად უწოდებენ. არ მესმის რატომ არ მოდიან ევროპელი შეძლებული ტურისტები კავკასიაში. იქნებ ჩემმა წიგნმა მაინც წააქეზოს ისინი ამისაკენ. როგორც ბატონო ფრეშფილდი ამბობს, კავკასიის აღსაწერად ყველა სიტყვა უძღურია და ისღა დაგვრჩენია ბატონ

<sup>3</sup> „ტიფლისსკი ლისტოკი“ იყო ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1886-1919 წლებში (რედ.)

კლინტონ დენტის<sup>4</sup> დავესესხოთ: „თუ ეთაყვანებით მთებს, თუ გსიამოვნებთ ბუნების ჭვრეტა და მისი თოვლით, ნისლით, ტყეებითა და სილამაზით ტკობა, სადაც სრულიად კონტრასტული სილამაზე სრულ ჰარმონიაში მოდის, მაშინ წადით კავკასიაში.“ წადით ქალაქში, სადაც 70 ენაზე საუბრობენ, სადაც ოპერას დუქანი ენაცვლება, რევოლუციისა და ომების შესახებ ცხარე კამათი კი შეიძლება თურქული ან სპარსული ხალიჩის გამყიდველთან გაცხოველებულ ვაჭრობაში გადაიზარდოს. წადით ქალაქში, რომელიც აღმოსავლური სუნამოს მაგიურ სურნელშია გახვეული. დასავლელი ადამიანის მხრიდან გონივრული არ იქნება მთელი ყურადღება ამ მხარის რომანტიკულ და მომხიბვლელ ნაწილზე გადაიტანოს და უგულებელყოს მისი პრაქტიკული და კომერციული ინტერესი, რაც დროსთან ერთად სულ უფრო მატულობს. ბუნებამ კავკასია ნაყოფიერი ნიადაგით და ხელსაყრელი კლიმატით დააჯილდოვა, აქ ყველაფერი ყვავის და ხარობს, ამ მხარეში უხვადაა ბუნებრივი მინერალური რესურსები. სამწუხაროდ, რუსეთის



### ბათუმი

ამჟამინდელი მმართველობის მეთოდები აღნიშნული სიმდიდრის ათვისებას მეტად აფერხებს, მაგრამ მ. დე ვიტეს<sup>5</sup> გავლენით მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება. თუ იგი კვლავაც ასე გააგრძელებს, და ომიც არ იქნება, მაშინ სულ რაღაც ათ წელი-

<sup>4</sup> იგულისხმება ინგლისელი მთასვლელი კლინტონ თომას დენტი (1850-1912), დაგლას ფრეშფილდთან ერთად ის ერთ-ერთი პირველი იყო ვინც კავკასიაში ალპინიზმის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი (რედ.)


<sup>5</sup> იგულისხმება გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე სერგეი ვიტე (1849-1915). სხვადასხვა წლებში ის მაღალ თანამდებობებს იკავებდა რუსეთის მეფის კარზე, იყო გზათა მიმოსვლის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, იკავებდა ასევე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობასაც (რედ.)



## ჩერქეზი

წადში კავკასია მთელს მსოფლიოს გააოცებს თავისი ინდუსტრიული მიღწევებით. ბაქოს ნავთობის ინდუსტრიის შესახებ უკვე ყველამ იცის და წიგნის მომდევნო თავში მე გასაოცარ ციფრებს მოგაწვდით. ფოლადის ინდუსტრიის მთავარი მამოძრავებელი ძარღვის, მანგანუმის მადნის ექსპორტმა ბათუმისა და ფოთის ორი პორტიდან მხოლოდ 1900 წელს 426 179 ტონას მიაღწია. ბრიტანეთის კონსულის ბატონი პატრიკ სტივენსის მიხედვით წარმოების სხვა დარგებიც არანაკლებ განვითარებულია, და რომ არა რუსეთის გაურკვეველი პოლიტიკა, კავკასიას რომ თავისი ბუნებრივი რესურსების განვითარებისა და გამოყენების საშუა-

ლება მიეცეს, ეს მხარე სულ მცირე დროში არნახულ წარმატებას მიაღწევს იქნება ეს კომერციისა თუ მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით. მისი მინერალური სიმდიდრე ფაქტიურად ამოუწურავია. აქ აურაცხელი ოდენობით მოიპოვება სპილენძი, თუთია, რკინა, თუნუქი და სხვა ბევრი ლითონი. შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე შესანიშნავ ღვინოს აყენებენ. კახურ ღვინოს კი მთელი რუსეთი ხარბად ეწაფება. ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მოყავთ ჩაი, ჩინური და ინდურიც. სამეფო ოჯახმა წარმატებით დაიწყო ინდური ჩაის მოყვანა სოხუმსა და სამეგრელოში. შეიქმნა ბრიტანული კომპანია ნავთობის ინდუსტრიის გასავითარებლად. და ბოლოს დასკვნის სახით: კავკასიის რკინიგზის, რომელიც საათში 21 მილის სისწრაფით კასპიის გავლით მიემართება ბათუმიდან ბაქოსაკენ, წლიური მოგება 1 000 000 - 5 000 000 გირვანქა სტერლინგს შორის მერყეობს. ამჟამად, სოფლის მეურნეობა მოიკოჭლებს კავკასიაში, მაგრამ ამ დარგს ახასიათებს, როგორც აღმასვის, ისე დაღმასვლის პერიოდები.



## საქართველოს გზა

საქართველოს დიდ სამხედრო გზაზე, რომელიც ევროპას აზიასთან აკავშირებს, სატრანსპორტო მოძრაობა მკაცრად განსაზღვრული წესებითა და ტარიფით რეგულირდება<sup>6</sup>. ვლადიკავკაზის ოფისში ყველა ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალების ფოტოების დათვალიერების შემდეგ შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი ეტლი აირჩიოთ, იქვე გადაიხადოთ საფასური და მიიღოთ ბილეთი, რომელიც მთელი მგზავრობის დროს თან უნდა იქონიოთ. ჩვენ ორცხენიანი ეტლი ავირჩიეთ, თუმცა დამატებით ორივე მხრიდან თითო ცხენი კიდევ შევაბით. ოთხივე ნაცრისფერი იყო, ლამაზად, რუსულ ყაიდაზე შეკაზმული. მიუხედავად ორმაგი ტყავის ღვედებისა, აღვირი მაინც არ ჩანდა სანდო, რადგან ავდრისაგან ტყავი უკვე გაუხეშებულა, ამიტომაც იყო, რომ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყოველ წუთს შეიძლებოდა აღვირი გამწყდარიყო. ბეწვეულსა და ნოხებში გახვეულებმა ჩვენი მსუბუქი ბარგიც გარშემო თოკებით დავიმაგრეთ და ასე მივირწეოდით ვლადიკავკაზის უსწორმასწორო ქუჩებში. ქალაქს მალევე გავცდით და შევედით სოფელში. ალბათ დამეთანხმებით მთები ყველგან ერთმანეთს გავს. იწყება გაშლილი ვაკით, რასაც მსუბუქი აღმართი მოყვება, ბორცვები და მიხვეულ-მოხვეული გზა. შორს ლივლივებს დანისლული მთის წვერი, უკან ცეცხლის ალივით გვედევნება მდინარის შხეფები, ლოდინი დაღმართი მდინარისკენ ეშვება და წყლიდან უეცარი სიგრილე უბერავს. ჩვენი ცხენები საუცხოოდ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, კრემისფერი მეცხვარე ძალღი შავი დრუნჩითა და ასეთივე შავი ყურებით კვალდაკვალ მოუყვება ჩვენს ეტლს. უცხო ცხენებს ის მტრული ყეფით უტევს. როგორც გავიგეთ ამ მეცხვარე ძალღებს აურაცხელი ცხვრის ფარა გაუცილებიათ შორეულ მთებში და ბევრ მათგანს ჯერაც ვერ მოუთქვამს სული ხანგრძლივი მგზავრობიდან გამოყოლილი დაღლილობისგან. ჩვენდა საბედნიეროდ მგზავრობა იმ დღეს დაემთხვა, როცა მეცხვარეებს ცხვრის ფარა საზაფხულო საძოვრებიდან ვაკეში ჩამოყავდათ გამოსაბამთრებლად. შეიძლება ეს რომელიმე წმინდანის ხსენების დღეც იყო, რომელიც მათ ცხვრის ფარის გადაადგილებისაკენ მოუწოდებდა ან იქნებ პირველი თოვლი იყო ამის ნიშანი. მაგრამ ჩვენ კი მშვენიერი საშუალება მოგვეცა შევსწრებოდით ამ საინტერესო პროცესს. მარტო ერთ დღეს ალბათ ასობით ათასი ცხვარი და თხა შემოგვეყარა გზად. მეცხოველეობის სხვა სახეობებთან შედარებით, მეცხვარეობა დღეისათვის საკმაოდ მოძველებული საქმიანობაა, თუმცა ბევრი თვალსაზრისით ჯერ კიდევ უზომოდ საინტერესო. ჩემს მიერ ქვეყნის სხვადასხვა წერტილში ნანახი ცხვრების კოლექციას კიდევ ერთი, კავკასიური ცხვრის სახეობა შეემატა. მორჩილი და უემოციო გამომეტყველების ცხვრები

<sup>6</sup> თითო ცხენის საფასური ერთ ვერსზე 4 კაპიკს შეადგენს (ერთი პენი ორ ცენტს უდრის). მთლიანი გზა 201 ვერსზეა გაჭიმული, რაც 132 მილს უტოლდება. მგზავრობის ღირებულება 2-კაციანი ეტლით 6 გირვანქა სტერლინგი ჯდება, რაც დაახლოებით 30 აშშ დოლარია. რკინიგზის მინისტრმა პრინცმა ჰილკოფმა აღნიშნული გზა ავტომანქანით გაიარა. სამომავლოდ სწორედ ამ მარშრუტით იგეგმება ფოსტის გაგზავნაც.



### **ცხვრის ფარა საქართველოს სამხედრო გზაზე**

კავკასიაში ძირითადად თეთრი შეფერილობის გვხვდება, რაც მათ აღმოსავლეთის ცხვრებისაგან განასხვავებს. ისინი გამოირჩევიან ჩალისფერი ყურებით და ასეთივე ფერის ფეხებით, ქორფლიანი, თეთრი ცხვირით. როგორც წესი ზანტად მიათრევენ თავიანთ ზომაზე დიდ ფუმფულა უკანალს, თითქოს მატყლის ბალიშებს დაატარებენო.

ცხვრის ფარაში რამდენიმე ვერძიც გამოერევა კულულებად ჩახვეული რქებით. მართალია ცხვრების მსგავსად ისინიც მომცრო ტანისანი არიან, მაინც გამოირჩევიან სილამაზით და თითქოს ამის მცოდნეები ამაყად და მოხდენილად მიაბიჯებენ ჯოგში ფეხების ბაკუნით. აქა-იქ ცხვრებს უამრავი ტიპის და შეფერილობის თხებიც შეერევა: შავი, ყავისფერი, თეთრი თუ კოკლებიანი; დიდი, ზემოთ აღმართული, თუ პირიქით, უკან გადაყრილი, ანდაც ერთმანეთში გადახლართული უშველებელი რქებით. როგორიც არ უნდა იყოს თხა, ის მაინც უშნო ცხოველად რჩება. თიკანშიც კი, მაშინ როცა ყველაზე საყვარელი უნდა იყოს, შეიმჩნევა ბოროტი და ვერავი გამოხედვა, რასაც ბატკანზე ვერამც და ვერ ვიტყვით. ამის მიზეზი არავინ იცის. თავიდანვე თხა ცოდვის აღმნიშვნელ სიმბოლოდ გამოიყენებოდა საღვთო ლიტურატურაში, მაგრამ თეოლოგიურ დისკუსიას თავი რომც დავანებოთ, კლასიკურ ნაწარმოებებშიც თხა ყოველთვის უწმინდურობას და გარყვნილებას გამოხატავს. ამის დასტურად მათთვის თვალის ერთი შევლებაც კმარა. მათი ავხორცულად მომზირალი ელამი თვალები; მათი ბრტყელი ცხვირის განუწყვეტელი ფშვინვა. ავად დაგრძელებულ ვიწრო სახეს აგვირგვინებს ბოროტად მოწრუპული პირი. ეს მათ დამდად ასვიათ.

თვალწარმტაცი იყო ცხვრების ყურება, თუ როგორ სწრაფად

ტოვებდნენ მაღალმთიან ადგილებს, სადაც გამოიზაფხულეს, და მანამ სანამ ამ მაღალმთიანი საძოვრების იშვიათი მცენარეული საფარი პირველი თოვლით დაიფარებოდა, ისინი აჩქარებით ეშვებოდნენ ქვევით, გაშლილი ველისკენ და აწ უკვე მოტეხილი სიმინდის ყანებისაკენ. ერთ მუშტად შეკრულები, წყალდიდობასავით მოაწყდნენ გზას და მთიდან მოვარდნილი გაყინული მდინარესავით წალეკეს ყველაფერი. მათი ზურგი, მატყლის ზღვას რომ წააგავდა, პერიოდულად გაიელვებდა ხოლმე ჩვენი ცხენების ფეხებს შორის. ამაღელვებელი იყო მათი ყურება, გულიც კი ამიჩქარა. ცხვრის ფარას წინ მიუძღვის მხრებში გამართული მეცხვარე, თავზე უზარმაზარი შავი ბეწვის ფაფახით, მხრებზე ყავისფერი ნაბდის ლაბადით. ბრინჯაოსფერდაკრულ სახეზე ამაყი და მედიდური გამომეტყველებით მიაბიჯებს ერთი მეცხვარე, მეორე ცხრის ფარას ბოლოში მოქცევია, რათა ჩამორჩენილებს და ყველაზე სუსტებს მიაქციოს ყურადღება. ჩვენი ეტლის გამორჩენისას ცხვრები ჩერდებიან, ისე ლამაზად და მოხდენილად, როგორც მხოლოდ ცხვარს შეუძლია დგომა, გაჭიმული ფეხები ერთმანეთს კოხტად მიტყუპებული, როგორც ბალეტის საწყისი პოზიცია. მეცხვარის ომახიან შეძახილზე ისინი ტალახიან თოვლზე ფეხების ბაკაბუკით მყისიერად დაიძვრებიან ადგილიდან, ასეთ ხმას მხოლოდ ცხვრის ფარის მოძრაობა თუ გამოსცემს. იგი მოკრძალებულია და ქალური.

ხანდახან რომელიმე ცხვარი თავისი მოსულელო სახით რომელიმე ცხენს ფეხზე წაეპოტინება და ამ დროს ცხენი ჭიხვინს იწყებს, რასაც მძღოლის ყვირილი მოსდევს. შემდეგ კი ცხვრის ფარა ორად გაყოფილი, გვერდით ჩაუვლის ჩვენს ეტლს. მათ სტვენით მიჰყვებიან მეცხვარეები, მათ მოსდევენ კრემისფერი მეცხვარე ძაღლები, რომლებიც ავად მოელვარე თვალებით გვათვალაიერებენ. მაგრამ მეტისმეტად დაღლილები არიან რაიმე მტრული მოქმედებისათვის. რა გასაკვირია, ისინი ხომ დღეების განმავლობაში მისდევდნენ ფარას მთებში, ყურადღებას აქცევდნენ, ჩამორჩენილებს აგროვებდნენ, უფრო ურჩებს და ჭირვეულებს ათვინიერებდნენ, ცდილობდნენ ხერხით ეჯობნათ უმიზნოდ მოხეტიალე თხებისთვის, ახლა კი ქანცგაწყვეტილები დინჯად მიუყვებოდნენ ველს დანარჩენებთან ერთად. საყვარლად მოჩანდნენ მათი პატარა, ფაფუკი ლეკვები მეცხვარეების ხურჯინებიდან. როგორი უმანკო, გულწრფელი და კოხტა ცხვირპირი აქვთ ლეკვებს. ერთ-ერთი ლეკვის ყიდვაც კი ვცადე და საკმაოდ გულუხვ ფასად. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა უარი რომ მივიღე. წარმოიდგინეთ მისი პატრონი ლეკვს ხუთ რუბლადაც კი არ დათმობდა. ჩვენი მგზავრობის პირველმა დღემ ასე ცხვრებისა და თხების გარემოცვაში ჩაიარა. ფარას შიგადაშიგ შეერეოდა უწყინარი და მორიდებული სახედარი, ლაგამისა და აღვირის გარეშე, თუმცა მეცხვარეების უშველებელი, ბეწვიანი ნაბდებით დატვირთული. თვითონ მეცხვარეები სწრაფად და წყნარად ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს. რამდენიმე ათეული ვერსის გავლის შემდეგ ფოსტის შენობას მივადექით. სამხედრო გზისა არ იყოს, ამ ქვეყანაში ფოსტებზე სახელმწიფო ზრუნავდა, ამიტომ იქ გასართობსა და სანახაობას ნაკლებად გადაეყრებოდა კაცი. ეს იყო ყაზარმის მსგავსი ნაცრისფერი, მოღუშული და ცივი შენობა, თავიდანვე იმ კარს მივაშურეთ, რომელზეც რუსუ-

ლი ასოებით ეწერა „სასადილო“ და იქ სოსისით, ქაშაყითა და კავკასიური ყველით წავიხემსეთ და ზედ თითო ჭიქა არაყიც დავაყოღეთ. მაღალი კავკასიური მთების ჩრდილი ეცემოდა ფოსტის შენობას. იქ გამეფებულ სუსხიან პეიზაჟში კი აქლემებისა და ჯაგარაყრილი გარეული ღორების ჯგუფი უჩვეულო სანახაობას ქმნიდა. ცოტა ხანში მოსვენებული ცხენები ისევ შევაბით ეტლში და გზა განვაგრძეთ მდინარის გასწვრივ. როგორც იქნა მთებში გავედით. ველები უცნაური მცენარეული საფარით იყო დაფარული და მე გავიხსენე ჩემი ძველი ჩვეულება და გზად ნაირნაირი კენკროვანი ნაყოფების შეგროვება დავიწყე. ვკრეფდი ზოგს მტევნების ფორმით, ზოგს კი ღეროებად გამოზრდილებს. ჩვენგან მარჯვნივ, ფრიალო კლდეებზე მჭიდროდ გატოტვილიყო და ლამაზად იხრებოდა თურქული მუხა, ქვების ნოტიო ნაოჭებზე კი გვიმრა ამოზრდილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გზა გულმოდგინედ იყო მოვლილი ალაგ-ალაგ აქაც გადაეყრებოდა ქვემოთ სახიფათოდ გადმოშვერილ მთის ფერდობებს, რომლებიც დღეს თუ არა ხვალ მაინც ჩამოიშლებოდა, და არც თუ უმსხვერპლოდ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გზის ყოველ კუთხე-კუნჭულს რუსების მზრუნველი ხელი ატყვია. ან კი როგორ არ იზრუნებდა რუსეთი - რომელმაც ამდენი დრო და გარჯა შეაღია ამ ქვეყნის დაპყრობას. ამ ბარაქიანი მიწის, ლამაზი ქვეყნისა და უცნაური ხალხის ფლობის სურვილი სრულიად ბუნებრივია და გასაგები. რუსეთის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ისეთი დაბლობებით და გაშლილი ველებით, როგორიც მას აქვს, სადაც ყველაზე მაღალ წერტილად ურალი ითვლება, მეც მთელ ჩემს რესურსებსა და ამაღლას გავწირავდი ოღონდაც კი ეს თვალწარმტაცი, მაღალმთიანი კავკასია ჩამეგდო ხელთ.

ვლადიკავკაზიდან რვა მილის დაშორებით, ბალთის ხეობაში კიდევ ერთი საფოსტო სადგური შეგვხვდა, თერთმეტ მილში კი ლარსია, კიდევ ხუთი მილის მოშორებით უკვე ცნობილი დარიალის ხეობაა, პირქუში დეფილე ევროპასა და აზიას შორის. ჩვენი ეტლი ზანტად მიიწევს წინ და მთის ფერდობები ხან ქვემოთ იწევა, ხან ზემოთ, გარეთ ისე აგრილდა კაცს თავი აკლდამაში ეგონება, მაღალი მთები მზის სხივებს არსაიდან აღარ უშვებდნენ, მეეტლე წინ იხრება და ცხენებს მათრახს გადაჰკრავს. უნებურად ყველა ვისუსებით. 70-ოდე წლის წინ ეს გზა ძალიან საშიში იყო, მოულოდნელად ჩამოწოლილი ზვავებისა თუ უცაბედად მოვარდნილი ყინულის ნაკადების გამო, მაგრამ რუსეთმა 20 მილიონი დოლარი დაახარჯა მის მოწესრიგებასა და გაუსაფრთხოებას. 1877 წელს რუსეთს თურქეთსა და აზიაში წარმოებული ომებისას სწორედ ამ გზით გაჰყავდა მთელი თავისი ჯარი და საჭირო ამაღა. და მომავალშიც ასე გაგრძელდება, თუმცა არა ასეთი დატვირთვით, რამდენადაც ახლა უკვე მოსკოვი-ბაქოს დამაკავშირებელი სარკინიგზო გზა გაიყვანეს თბილისის გავლით, ამიერკავკასიის ეს სარკინიგზო გზა ყარსსაც წვდება. და ასევე, იმავე ყარსის მიმართულებით კიდევ ერთი რკინიგზაა, რომელიც სათავეს ბათუმიდან იღებს, იქ კი შავი ზღვის გავლით გემებით ჩაჰყავს რუსეთს ამაღა და ჯარი ოდესიდან და ნოვოროსიიდან. შეიძლება იანძის ხეობებიც ასეთი შთამბეჭდავია - მე თავად არ მინახავს- მაგრამ მთელს ევროპაში არაფერი მოიძებნება, ისეთივე შიშის ზარს რომ სცემდეს, როგორც ეს პირქუში, მარტოსუ-

ლი, ცივი დარიალის უფსკრული.

ხეობა უცაბედად მთავრდება და სწრაფად მივექანებით ვიწრო ხიდზე, რომლის იქით თვალწარმტაცი სანახაობა გვეშლება თვალწინ. ორ კლდეს შუა გადაჭიმული გაშლილი მდელო, საიდანაც კვადრატული ფორმის შენობა მოჩანს, კუთხის ანძებით, ბასტიონებითა და ამბრაზურებით, თითქოს პირდაპირ ზღაპრიდან გადმოუტანიათ. თავად მიურეისაც<sup>7</sup> კი, რომელსაც უცილობოდ დაეჯერება, თავის გზამკვლევეში აღუნიშნავს, რომ დარიალის სასახლე ისეთი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული, რომ მის ფერდობზე ზარბაზნის გალაგებისთვის მტერს საჭაერო ბუშტი დაჭირდება. სხვანაირად მიუდგომელიაო. რაწამს ეტლი გავაჩერებინე და ჩამოვხტი შევამჩნიე რომ, კაზაკი გუშაგი ჭიშკრიდან უნდოდ მზვერავდა. მის გარდა მთელს არემარეზე სიცოცხლის ნიშან-წყალი არ შეიმჩნეოდა. სასახლის ზემოთ ძველი შენობის ნანგრევები დავლანდე. გადმოცემით აქ თამარ დედოფლის სასახლე ყოფილა, მაგრამ ამ ლეგენდაში ძნელია გაარჩიო მართალი და მონაგონი. მზეთუნახავი დედოფლის სანახავად მიჯნურთა ნაკადი არ წყდებოდა თურმე, ხოლო როცა დედოფალი მიჯნურთა სიყვარულით გულს იჯერებდა, მისი ბრძანებით ვაჟკაცებს მდინარეში ყრიდნენ. სწორედ ეს სასახლეა მოხსენიებული ლერმონტოვის ცნობილ პოემაში „დემონი“<sup>8</sup>.

თუმცა, ომგამომოვლილი და ათასი ჭირვარამის მომსწრე ნანგრევების ყურებისას, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია რომანტიზმისა და პოეზიის ლანდი, უნებურად გიჩნდება სურვილი გაარღვიო მითისა და ლეგენდების საბურველი და გაიგო თუ როგორ ცხოვრობდნენ უბრალო და ნამდვილი ადამიანები, რომლებიც ყოველდღე დარიალს გადმოჰყურებდნენ ამ მაღალნაშენი არწივის ბუდისებრი სასახლიდან.

დღე მიიწურა და მივადექით ფოსტის შენობას. ჩვენ გარშემო, უშველებელი, ჯადოსნური მწვერვალთა მთა აღიმართა. მე თუ მკითხავთ, ყაზბეგი, იგივე მყინვარწვერი, იალბუზს ბევრად სჯობია თავისი ჩატეხილი მწვერვალებით, საოცრად, თითქმის აუტანლად ციცაბო ფერდობებით, ხეობებითა და მათ გარშემო დაკლაკნილი ყინულის წყაროებით, ცაში აზიდული ველური კლდეებით, მაშინ როცა იალბუზი, სინამდვილეში უფრო მაღალიცაა და უფრო ძნელად დასალაშქრიც (იალბუზი 18 470 ფუტის სიმაღლისაა, ყაზბეგი კი - 16 546<sup>9</sup>) მისი მწვერვალებიც უფრო მაღალი და ნაკლებად საშიშია. მთის შეცდომაც ესაა; სტანდარტული მთა მოლურჯო-მოთეთრო შეფერილობისაა, ხმელეთიდან ყველაზე ცოტა 10 000 ფუტის სიმაღლეზე ცაში აზიდული, ისეთი მწვერვალით, სადაც ადგილი მხოლოდ ერთი მთასვლელის ფეხისთვის თუ გამოინახება, და ისე სახიფათოდ უნდა იყოს განლაგებული თითქოს ღრუბელს ხელით ეჭიდება რომ არ წაიქცესო - აი ასეთია მყინვარწვერი ქვევიდან. ფოსტის შენობა ისევ თეთრი ფერის, ფარღალალა შენობაა, წინ დიდი ოთხკუთხა ეზოთი, რომელთაგან სამი კუთხე ცხენებისთვისაა განკუთვნილი. ეზოს

<sup>7</sup> იგულისხმება ევროპაში გამომავალი ჯონ მიურეის ცნობილი სამოგზაურო გზამკვლევი. ის გამოიცემოდა 1836 წლიდან და მოიცავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. ამ შემთხვევაში ჰენრი ნორმანი იმონებებს 1868 წელს გამოცემულ მიურეს გზამკვლევს რუსეთის შესახებ (რედ.)

<sup>8</sup> წიგნში მოყვანილია კუპლეტები ლერმონტოვის პოემიდან, რომლის ქართულენოვანი თარგმანანის წარმოდგენა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ (რედ.)

შუაგულში კიდევ ერთი უშველებელი აქლემი დგას, შეუსაბამო კისრიდან დაკიდული თავითა და ქედმადლური პირით, რაც ასე დამახასიათებელია უდაბნოს აქლემისათვის. მაგრამ ამ მაღალმთიან, თოვლით გადათეთრებულ ადგილას აქლემის ხილვა ძალიან უჩვეულო, თითქმის სასწაულებრივ სანახაობას წარმოადგენს. ქურდულად მოსიარულე, მიშვებული თავის ნებაზე, აღვირისა და მეჯინიბის გარეშე, აშკარად არასასურველი სტუმარი ამ არემარეზე. თავიდან ვიფიქრე რომ იგი უბრალოდ ისვენებდა, ცხენების მსგავსად, თუმცა მერეღა შევამჩნიე რომ ყველა საფოსტო შენობაში ერთი აქლემი მაინც ჰყავდათ, ჰოდა მათ ყოფნას ჩემული უცნაური დანიშნულებაც გამოვუნახე, კერძოდ, ის იქ იყო რომ ცხენები საშიშ გზაზე გადაჩეხვისაგან ეხსნა. ანუ საფრთხობელას როლს ასრულებდა. ბავშვებმა რომ იციან სიბნელეში ერთმანეთის შეშინება „ბუას“ შეძახილით. იმ ღამით ყაზბეგში დავბინავდით და კომფორტულად მოვეწყვეთ ჩვენთვის გამოყოფილ ბარაკის მსგავს საკნებში. სავახშმოდ სასადილოში ჩასულებმა, არჩევანი ტრადიციულ კერძზე, შეშაზე შემწვარ ცხვრის მწვადზე შევაჩერეთ. შეკვეთის მოლოდინში ბედნიერმა მოულოდნელობამ შეგვიპყრო და შიმშილს ადგილობრივი, ტრადიციული ხემსით-ქაშაყით, შავი პურით და კავკასიური ღვინით ვიკლავთ. უნდა ვადიაროთ, რომ სასმელი ძალიანაც გვეგემრიელა. სასადილოში ხახვის სუნი დატრიალდა, რამაც ჩვენი მოუთმენლობა კიდევ უფრო გაზარდა. სასადილოში ჩერქები მიმტანი გამოჩნდა ხახვით ხელში. ჩვენ იმედი მოგვეცა რომ ხახვს ნანატრი მწვადიც მოყვებოდა. ჩვენი მოუთმენლობა საგრძნობლად შესამჩნევი გახდა. ერთდროულად ატყდა დანა-ჩანგლის წკარუნი, და სტუმრებმა თეფშებში ჩარგეს თავები. ხორცი სრულიად ახალი იყო და საკმაოდ უმიც. მის წესიერ მომზადებას ალბათ საათობით მოთუშვა ესაჭიროებოდა. რამდენიმე დღეში კიდევ შემომთავაზეს ადგილობრივი მწვადის დაგემოვნება, თავაზიანი უარით გავისტუმრე. როგორმე ინგლისამდე მოვითმენ, ჩემი მზარეული გაცილებით უკეთ ამზადებს. მეყო ჩერქებული მწვადი გეთაყვა. მეორე დილით ადრიანად ადგომა და მოპირდაპირე მთებზე ასვლა მქონდა გეგმაში, იქ 1 400 ფუტის სიმაღლეზე განლაგებული ძველი წმინდა სამების ეკლესია რომ მომენახულებინა, არა იმდენად ეკლესიის ნახვის ინტერესი მამოძრავებდა, რამდენადაც მინდოდა იმ მთისთვის შემეველო თვალი, რომლის პირქუშ ფერდობზე პრომეთე იყო მიჯაჭვული (თუმცა ეს ლეგენდა ნაკლებ სარწმუნოა, ყოველ შემთხვევაში ესქილეს თუ დავუჯერებთ, პრომეთე ზღვის ზევით მდე-


---

<sup>9</sup> ყაზბეგი და იალბუზი პირველად 1868 დალაშქრეს ბრიტანელმა მთასვლელებმა დაგლას ფრეშფილდმა, ჩარლზ ტაკერმა და ადოლფ მურმა. მწვერვალს რომ მიუახლოვდნენ და თავიანთი გიდი გამოუშვეს ქვემოთ ამბის ჩამოსატანად, ადგილობრივები აღნიშნულს უნდოდ შეხვდნენ, მაგრამ როცა სამივე მთავსვლელი მთის ერთი მხრიდან ასულები, მთის მეორე მხრიდან ჩამოსულები იხილეს, სხვა გზა აღარ დარჩენოდათ გარდა იმის აღიარებისა, რომ შეუძლებელი მოხდა. 1875 წელს იალბუზზე ავიდა კიდევ ერთი ინგლისელი ალპინისტი ფ. გრუვე, ხოლო 1884 წელს უნგრელი ალპინისტი მ. დეში. მიუხედავად ფაქტებისა ადგილობრივ ხალხს მაინც არ უნდოდა უცხოელი ალპინისტების წარმატება ეღიარებინა. 1891 წელს გამოცემულ თავის წიგნში „კავკასიის გზამკვლევი“ მ. მურიერი ასე მოიხსენიებს ყაზბეგს: „სამი ინგლისელი: ფრეშფილდი, მური და ტაკერი, ლონდონის ალპინისტთა კლუბის წევრები ამტკიცებენ რომ 1868 წლის 18/30 ივნისს მიაღწიეს მწვერვალს.“

ბარე მთაზე იყო მიჯაჭვული, საკმაოდ შორს კავკასიიდან). დილა უთენია ავდექი, რომ გამზადებისათვის საჭირო დრო მეონოდა, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, მთელი არემარე თოვლით იყო დაფარული. სწორედ ისეთი თოვლით საახალწლო ღია ბარათებზე რომაა გამოსახული. საწყალ აქლემს კუბებს შორისაც კი ყინულის ლოლოები ეკიდა. 50 იარდის იქით აღარაფერი ჩანდა, სადღაც გაუჩინარდნენ მთებიც. ამან არა მარტო ჩემი დილის ლაშქრობა გადადო, არამედ მთლიანად ჩვენი გზის გაგრძელება და უღელტეხილის გადალახვა გახადა საეჭვო. თქმა რად უნდოდა - თოვლი დასარჩენად იყო მოსული. ეს ზამთრის თოვლი იყო. ნაჩქარევად გავემზადეთ, ცხენები შევკაზმეთ და გზას გავუდექით. თოვლის ფანტელები ნელი სიდიდით ეფინებოდა მიწას. უცებ ნაცრისფერ ნისლში კაზაკთა რამდენიმე ასეულისგან შემდგარი ჯარი გამოჩნდა, რომლებიც სომხეთის საზღვარზე მსახურობდნენ და ახლა თავიანთ პატარა სოფლებში ბრუნდებოდნენ. მათ თოფებითა და სამხედრო აღჭურვილობით სახელმწიფო ამარაგებს. თუმცა მათი პატარა მოქნილი ცხენები, ხმლების, დანებისა და პისტოლეტების არსენალი მათ ეკუთვნით. შავ აბურძგნულ ლაბადაში გახვეულები, რომელიც მთელ მათ ტანს ფარავს თავიდან ჩექმებამდე და ცხენის კუდამდე ჩაეფინება, თავზე მოხვეული კაპიუშონებით ისინი ომის აჩრდილებს მოგაგონებენ. მერე მათი სახის ველური გამომეტყველება რად ღირს? თვალწარმტაცი, რომანტიკული, ერთი სიტყვით კავკასიური. თოვლის ფიფქები შეთხელდნენ, თანდათანობით გზა გამოჩნდა, მზემ გამოანათა, ეტლს თავსახური გადავხადეთ, და იქ, ჩვენს თვალწინ მანტიასავით გადაგვეფარა მყინვარწვერი თავისი მწვერვალებით, სილურჯეში ამაყად მბზინავი და მოელვარე. მისი ყოველი ნაოჭი და ბზარი წინა ღამით მოსული თოვლით იყო ამოვსებული და მზეზე საოცრად ლაპლაპებდა. ახლა კი გზად უღელში შებმული ხარები შემოგვხედნენ, და კიდევ ზვავისაგან თავდაცვის მიზნით ხელოვნულად გაყვანილი გვირაბები. ეს ეგრეთ წოდებული დამცავი სახურავები შესანიშნავადაა აგებული, როგორც სხვა მსგავსი საგზაო ნაგებობები, ძნელი სათქმელია პირდაპირ სახელმწიფოს მიერაა აშენებული თუ კონტრაქტორის ხელი ურევია, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: გზა, რომლითაც რუსეთი მიიწევს თბილისისაკენ საიმედოა და კიდევ დიდხანს გაუძლებს დროს.

უღელტეხილის მალლობზე თეთრი თოვლის ფონზე შავი ჯვარი იყო აღმართული, სადაც მწვერვალის სიმაღლე იყო გამოსახული - 7 977 ფუტი. ჩემი მოგზაურობის დროს, ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა ევროპა-აზიის საზღვარს მთის გავლით ვკვეთდი. სტელვიოს უღელტეხილს თუ არ ჩავთვლით, რომლის სიმაღლეცაა 9 040 ფუტი, ალპებში ასეთი სიმაღლის უღელტეხილი არც არის. ალბათ ცოტას თუ ხვდა წილად ეს უღელტეხილი ასე ლამაზ და დახვეწილ ქრილში იხილოს, როგორც მე. მწვერვალი მწვერვალს მისდევდა, სულ რამდენიმე საათის დადებული, თვალისმომჭრელად ლაპლაპა თოვლი და სამოთხისფერი ლაჟვარდოვანი ცა, დამათრობელი და მკვეთრი ჰაერი - ეს იყო აღმოსავლეთის ის ხიბლი, რომლის შთაბეჭდილება ერთ ცხოვრებას ეყოფა. ჩვენი ცოტათი სასაცილო მეეტლე თავპირისმტვრევით მიგვაქანებს დაკლაკნილ გზაზე, მის თავზეხელაღებულ სისწრაფეს ორი კარგად მოსვენებული ცხენი კიდევ უფრო უწყობს ხელს. უნდა ვაღიარო, ამაში მეც მიმიძღვის

ბრალი, მგზავრობის დასაწყისში ერთ რუბლს შევპირდი თუ სწრაფად გვატარებდა. რას ვიფიქრებდი რომ სანანებელი გამიხდებოდა. ჩრდილოეთის მხარე უდაბური და მიუსაფარია, ასევე უნაყოფო, სამხრეთით პირიქით, მწვანედ აბიბინებული, ნოყიერი, თივის ზვინებით სავსე. ჩვენი მეეტლე ყიჟინით მიაჭენებს ცხენებს, თან გამხნეების მომლოდინე სულელური ღიმილით პერიოდულად თავს უკან, ჩვენსკენ აბრუნებს. მზად ვიყავი დამატებითი რუბლები მიმეცა ოღონდაც კი ახლა ნელა ეტარებინა ეტლი, მაგრამ იგი მეტისმეტად იყო გატაცებული ქროლვით ჩვენი სუნთქვაშეკრული პროტესტი რომ შეემჩნია. ისე მოულოდნელად აღმოვჩნდით გამწვანებულ ველზე, თვალებს არ ვუჯერებდით. ჯერ ჯიუტი მხოხავი ნაძვის ხეები გამოჩნდა, მას ფიჭვის და მუხის ხეები მოყვა. მას კი სოფლები და დასახლებული პუნქტები თუ ფერმები სადავოთხკუთხა საცხოვრებელი შენობები იდგა, ნახევრად მიწური, ღია



**ჯვრის უღელტეხილი**

შესასვლელით, როგორც გამოქვაბულებს აქვს, და რაც აღმოსავლეთისათვის ასე დამახასიათებელია. გაშლილი მოსწორებული სახურავით. ცდუნებას ვერ გავუძელი და ეტლი გავაჩერებინე რათა ერთ-ერთი სახლი კარგად დამეთვალეებინა. ანანურში შევედით, სადაც მდინარეს თან ჩამოაქვს ნაცრისფერი ყინულის მასა. გადავწყვიტეთ ღამე ანანურის ფოსტის შენობაში გაგვეტარებინა. იგი შედარებით მცირე ზომის იყო, მხოლოდ ორი საკნისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი ქალებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე კი მამაკაცებისათვის.

დილით კავკასიელი კაცი შემოვიდა და დოქით წყალი მოგვართვა ხელ-პირის დასაბანად. მის დახვეწილ მანერებში იმდენი თავდაჭერა შეიმჩნეოდა, თავადსაც კი შეშურდებოდა. ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, რომ ანანურში მომსახურება უფრო თავაზიანი და დახვეწილი იყო. აქამდე არც ერთ ჩვენთაგანს არ მომსახურებია ჩერქეზი თავადი (ალბათ მართალი ვიქნები მათ თავადებად თუ მოვიხსენიებ, რამეთუ კავკასიაში ყველა თავადად ითვლება, ვინც ოთხ ცხვარს ფლობს, ასე ამბობენ რუსები ხუმრობით, და მეექვსეა ამ ჩვენს თავადსაც ოთხ ცხვარზე ნაკლები ყავდეს). ფეხით ავედით პატარა უცნაურ კოშკამდე, რომელიც XV საუკუნეში აუშენებიათ. კოშკის გაღავანი გარს ერტყმოდა უფრო გვიანდელი პერიოდის ტაძარს. ეკლესიაში არაფერი დიდად საინტერესო არ ყოფილა, რამდენიმე ნახევრად წაშლილ ფრესკასა და კარის უკან მოხატულ არაბესკებს თუ არ ჩავთვლით, ჩვენთვის გაცილებით საინტერესო იყო უცნაური ჯიშის კალმახის აღმოჩენა, რომელიც ადგილობრივი მეთევზეების წყალში მოლივლივე ანკესებს მოხერხებულად გვერდს უვლიდნენ და ამით მეთევზეების მცდელობას და გარჯას აბურადაც კი იგდებდნენ.

იმავე დღეს კიდევ ერთ უღელტეხილზე ავედით, რომელიც უკვე დამუშავებული მიწის ფერდობებით იყო გარშემორტყმული. ხორბალი მოყვანილი იყო, კამეჩები გუთანში შებმული, მომცრო მიწური სახლები კი მზის გულზე განფენილები. რამდენიმე მათგანის სტუმრობისას აღმოვაჩინეთ რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან ლაზათიანად და ეშხიანად გამოიყურებოდა, მამაკაცებს ჯანსაღი ბრინჯაოსფერი დაკრავდათ სახეზე, მალღები, ძლიერები, წვეროსანი და იარაღასხმულები დააბიჯებდნენ. ქალები კი მხიარულ და ნათელ ლურჯ, წითელ და ალისფერ ფერებში გამოწყობილები დაატარებდნენ ხელში ატატებულ პატარა ინისფრად თმაშეღებილ ბავშვებს. მამლებს, ქათმებს, კატებს, ძაღლებს და ფუმფულა ხბოებს - ყველას სახლის კარში მოეყარა თავი, სახურავზე უშველებელი, ოქროსფრად მოელვარე თივის ზვინები შემოედგათ, ხშირად დალანდავდით იქვე ზამთრის სანოვავებს შორის ჩამჯდარ ოჯახის უფროსსაც, რომელიც სიგარეტს აბოლებდა ზანტად.

დუშეთში ბევრი ვეცადეთ თავად ქილაშვილის სასახლეში შეგვედწია, რომელიც ბორცვზე იდგა, თეთრი ამაყად მომზირალი. იგი პოლიციის შენობის დანიშნულებასაც ასრულებს. დუშეთი ძალიან მოხერხებულადაა განლაგებული, თბილისიდან საკმაოდ ახლოს მდებარეობს და მათ ვინც საქართველოს სამხედრო გზაზე უფრო დიდხანს დარჩენას ლამობს, გაზაფხულის ანდაც შემოდგომის გატარებას აპირებს, მაშინ სწორედ დუშეთში გაჩერებას ვურჩევდი. მცხეთა - ჩვენი მგზავრობის ბოლო ქალაქი - ანტიკური

ხანისა და აწმყოს ნაზავია. იგი ერთ დროს საქართველოს დედა-ქალაქი იყო. ქართველებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე ძველი ქალაქია, იგი ნოეს შვილთაშვილს დაუარსებია ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის დასაწყისში, და გინდ დაიჯერეთ გინდ არა, საკმაოდ ფხიზელი და სიტყვაძვირი ისტორიკოსებიც კი აღიარებენ ამას. სწორედ მცხეთაში ცხოვრობდნენ და ზეობდნენ საქართველოს მეფეები, აქ შემოჭრილა თემურ-ლენგი და მის მეომრებს აუოხრებიათ ქალაქის მშვენება სვეტიცხოველი, თუმცა საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა აღადგინა, ახლა კი საქართველოს სახელგანთქმული და ბრძენი მეფენი განისვენებენ ამ ტაძარში. ის 328 წელს აუშენებიათ იმ ადგილას, სადაც იესოს კვართი ინახებოდა. გადმოცემის თანახმად უფლის კვართი გოლგოთიდან ვინმე ებრაელს ჩამოუტანია ლონგინოზ კარსნელს და თავისი დისათვის სიდონიასთვის უბოძებია. სიდონიას კვართი მოუხურავს და იმწამსვე სული განუტევებია, რამდენიც არ ეცადნენ კვართი ვერ მოაცილეს მის გვამს, ამიტომაც იგი კვართიანად დამარხეს, ხოლო მისი საფლავიდან სასწაულმოქმედი წმინდა ზეთი გადმოდიოდა. ასეთი იყო ძველი მცხეთა. დღეისათვის კი ის ერთი უბრალო დაბაა, სადაც ბათუმი-ბაქოს დამაკავშირებელი რკინიგზის ერთ-ერთი სადგურია განლაგებული. მაგრამ აქ მიმოფანტული სასახლეებისა და ტაძრების ნანგრევები მის ერთ დროს აყვავებულ ხანაზე მიუთითებს, როცა აქ მეფეები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი სახლობდნენ, მანამ სანამ დიდების სახელი, ჩრდილოეთით, თბილისისკენ გადაინაცვლებდა.



**ნალის დაჭედება კავკასიაში**

გერმანელ ფილოლოგს, პროფესორ ბრუგმის<sup>10</sup> თუ დავუჯერებთ, თბილისში 70 ენაზე საუბრობენ. ეს მარტივი განაცხადიც კი კმარა ქალაქის დასახასიათებლად. ესაა თანამედროვე ბაბილონი, აზიისა და ევროპის გზაგასაყარი, ანდაც პირიქით, შეხვედრის ადგილი, ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის გადაკვეთის წერტილი, ვაჭართა თავშეყრის ბუდე და ორი ათას წლიანი ისტორიის მქონე ქალაქი. ამ მრავალფეროვნების ფონზე რუსეთი ქალაქის მართვას შესანიშნავად ართმევს თავს. ესაა სანიმუშო მაგალითი თუ როგორ აზიარებს იგი თავის სამხრეთელ მეზობლებს ცივილიზაციას

თავისი მასიური მომწვანო-მოწითალო თუნუქის სახურავებით თბილისის ნახევარი პატარა პარიზს მოგაგონებთ, ან კოხტა ბუქარესტს. ფერების ეს სასიამოვნო ნაზავი განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალაქს მთებიდან თუ მოადგებით, მაგრამ მისი მშვენიერება რომ მთელი სიცხადით შეიგრძნოთ, ისე როგორც ეს ჩემს ილუსტრაციაშია ნაჩვენები, მაშინ მას ძველი სასახლის ნანგრევებიდან, ანდაც მის უკან განთავსებული ბოტანიკური ბაღიდან უნდა გადმოხედოთ, ან სულაც ქალაქის მეორე ბოლოდან. ქალაქი მდებარეობს ყავისფერ მოტიტვლებულ ხეობაში, ციცაბო გორაკებს შორის, შუაში კი მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობისა და ნალექის სიმწირის გამო, ზაფხულში თბილისი გადახურებული და ჩახუთულია, მაგრამ იმავე მიზეზით, სამაგიეროდ ზამთარში აქაურობა საამური და თბილი, საიმედოდ დაცული მთებიდან და სამხრეთ ვაკიდან დაბერილი ქარისგან. აქ გამეფებული მშრალი კლიმატი ხელსაყრელ პირობებს უქმნის ადამიანებს, განსაკუთრებით მათ ვისაც სუსტი ფილტვები აქვთ.

რუსეთისთვის თბილისი უაღრესად მნიშვნელოვანია. ამით სრულდება ის სამხედრო გზა, რომელიც მთელს კავკასიას გაუყვება, და რომელიც მიუხედავად უკვე არსებული ბაქოსთან დამაკავშირებელი სარკინიგზო გზისა, მაინც ევროპისკენ მიმავალი უსწრაფესი საშუალებაა. თბილისი ბაქოსა და ბათუმის შუაგულში მდებარეობას, ამავე დროს იგი კასპიისა და შავ ზღვას შუაა მოქცეული, იგი ასევე ევროპისა და აზიის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შუაგულ წერტილს წარმოადგენს. სარკინიგზო გზა ყარსამდე მიდის, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ რუსეთის სამიზნეს წარმოადგენდა. მალე ის რუსეთის დასაყრდენი იქნება სომხეთისაკენ და იმის იქითაც.

თბილისი რუსეთისათვის კავკასიის მარგალიტია, რეგიონის დედაქალაქი და შესაბამისადაც უვლის და უფრთხილდება. ქუჩები ფართო და სუფთაა, ლამპიონებით განათებული, მაღაზიები დიდი და ლამაზი, მოწესრიგებული ტრამვაი, ეტლები, ტყავადაკრული სავარძლებითა და რეზინის საბურავებით, ასეთს მოსკოვსა და პეტერბურგშიც კი ვერ ნახავთ, უფრო მეტიც, მე ასეთი ფაქტორები არსად არ შემხვედრია. საჯარო დაწესებულებების შენობები დიდი და შთამბეჭდავია - ამაზე რუსეთი სათანადოდ

<sup>10</sup> იგულისხმება ცნობილი გერმანელი ეგვიპტოლოგი ჰაინრიხ ბრუგმი (1827-1894) (რედ.)

ზრუნავს. ქალაქს დიდებული ტაძარი ამშვენებს, მეფისნაცვლის სასახლე მედუდურად იწონებს თავს. იქვეა ოპერის განახლებული შენობა, და რა თქმა უნდა, სამხედრო შენობებიც ცალკე აღნიშვნის ღირსია. განსაკუთრებით საინტერესოა მუზეუმი, სადაც თავმოყრილია კავკასიაში მობინადრე ცხოველებისა და ჩიტების სრული კოლექცია, აქვე შეგიძლიათ იხილოთ ათასგვარი გეოლოგიური ექსპონატი, გამაოგნებელი ნაკეთობები და სამუშაო იარაღები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით ადგილობრივი ხალხების წარმოშობაზე. ჩემი იქ ყოფნის დროს დავესწარი არქეოლოგიურ გამოფენას, სადაც წარმოდგენილმა ადგილობრივი პროდუქტების რაოდენობამ და ხარისხმა საგონებელში ჩამაგდო. სასწრაფოდ შევიძინე ზოგიერთი ბოსტნეულის თესლი და სამშობლოში გავუგზავნე ჩემს მებაღეს გასამრავლებლად. ამგვარ საკითხებში რუსები ძალიან ყურადღებით და თავაზიანობით ეკიდებიან უცხოელს, თუ მათაც იგივე დამოკიდებულება და ინტერესი შეამჩნიეს. და ბოლოს, არ შემიძლია არ ვახსენო სასტუმრო ლონდონი, რომელსაც ყველა მისი ფრანგული სახელწოდებით Hotel de Londre იცნობს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო, ულამაზესი და თანამედროვე სასტუმროა, რაც კი რუსეთში მინახავს - და წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი აზიაში. ხმაურიანი, ბინძური აღმოსავლური რასების ნაზავისგან რუსეთმა შექმნა პატარა, კოხტა ევროპული ქალაქი. როსტომი, ჩვენი გიდი, თავის ჩერქეზულ სამოსში გამოწყობილი დაიარება სასტუმროს ფოიეში ხანჯალასხმული და საომარი ჯილდოებით აკაზმული. გერმანელი ფილოლოგის ნათქვამი რომ გადამემოწმებინა, როსტომს ვკითხე თუ რამდენ ენაზე საუბრობდა. ზუსტი რაოდენობა თვითონაც არ იცის, მაგრამ მაინც სცადა თითებზე ჩამოეთვალა. რუსული, მეგრული - მისი მშობლიური ენა, ქართული, სომხური, სპარსული, ლეზგიური, გრუზინული<sup>11</sup>. ყველა ვერც დავიმახსოვრე, მაგრამ საოცარი სიაა ალბათ დამეთანხმებით. ქალაქის მთავარ ბაზარზე ერთი საათით გასვლაც კი კმარა, რომ მან ყველა ენაზე დაილაპარაკოს. სასტუმროდან ტრამვაით ათი წუთის სავალზე თავი ბაღდათში ან თეირანში გეგონებათ. აზიური ბაზრებიდან მხოლოდ ცოტა თუ შეგხვდებათ ისეთი, უცხოელ მუშტარზე ხარბი თვალი რომ არ ეჭიროს. რამდენიმე ვერცხლისმჭედლის სახელოსნოს თუ არ ჩავთვლით, მთელს ბაზარში ისე გეპყრობიან, როგორც ადგილობრივ მკვიდრს. მაღაზიაშიც როგორც ადგილობრივს ისე გესალმებიან, იმავეს ათვალიერებ, რასაც ადგილობრივები, ისევე ვაჭრობ, როგორც ისინი და თუ ენა გიჭრის იმავე საქონელს გამოკრავ ხელს, რასაც ადგილობრივები. ეს ერთი-ორად დასაფასებელია, როცა კაცს კაიროს ბაზარი გახსენდება, სადაც კარგი საქონლის ხელში ჩაგდება მხოლოდ გამართლების შედეგია და ვაჭრობის დროსაც დიდი სიფრთხილე გმართებს.

თბილისის ერთი ნახევარი თუ ევროპას მოგაგონებთ, მეორე წმინდაწყლის აზიურია. ვიწრო, ციცაბო გაუვალი ქუჩებით, მისტიური სახლებით, რომლის ჩარაზულ კარ-ფანჯრებს მიღმა უამრავი საიდუმლო ამბავი ინახება, მოვაჭრეები თავიანთ მაღაზიებს შორის ჩამომსხდარან - ერთ ქუჩაზე შეხვდებით ვერცხლისმჭრე-

---

<sup>11</sup> ენების ჩამონათვალში ავტორი აშკარა შეცდომას უშვებს. ქართული ენა მას ორჯერ აქვს ნახსენები, ერთ შემთხვევაში „გეორგიან“-ის, ხოლო მეორე შემთხვევაში კი „გრუზინიან“-ის სახელწოდებით (რედ.)

ლებს, მეორეზე იარაღის მწარმოებლებს, მეწადეებს, ხალიჩებით მოვაჭრეებს, მეხილეებს, პარფიუმერებს. ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. რას არ შეიძენთ თბილისის ბაზრებში - თუკი საჭირო თანხა და დრო გაქვთ - ეს ორი უმთავრესი რამაა რაც აქ გჭირდებათ, ამისგან შედგება აღმოსავლური ვაჭრობა და შევაჭრებაც. მომცრო კარის იქით ბნელი საკანი იმალება, იშვიათი ხარისხის და წარმომავლობის ხალიჩებით პირთამდე სავსე. გამოუცდელი მუშტარი შეიძლება მოტყუების და თაღლითობის მსხვერპლი გახდეს, მაგრამ თუ თვალი და ენა გიჭრით, ასევე მოთმინების უნარი გაქვთ და დროც შეუზღუდავი, შეიძლება ფასდაუდებელი საგანძურის მეპატრონე გახდეთ, მაინც რისი? მაგალითად ნუხას უძველესი ხანების სასახლის ფარჩის, ისპაჰანიდან ჩამოტანილი შაჰ-აბასის ოქროს ხანის დროიდან მოყოლებული, ორასი წლის, ფასდაუდებელი აბრეშუმის ხალიჩის, ანდაც მომთაბარე ოსმალების კარავში თქვა გოგონების მიერ ხელით მოქსოვილი ჭილოფის, განუმეორებელი, მეხსიერებაში ჩაბეჭდილი ნიმუში თემურ ლენგის დროიდან მოყოლებული, ქურთი ქალის მიერ მოქსოვილი შალის ფარდაგის, ცისარტყელის ფერებში გადახლართული აბრეშუმის ქსოვილების. ვაჭარი გიჩვენებს ფირუზებსაც, ერთი მუჭის ოდენას, პატარებსა და მომწვანო ფერისას. ბევრჯერ ჩაეკითხები იქნებ უფრო დიდი ფირუზიც ჰქონდეს, რაზეც ის უარის ნიშნად ყოველ ჯერზე თავს ჯიუტად გააქნევს. მაგრამ თავის რკინის ყუთის ბოლოში მას უდაოდ გადანახული ექნება ის ერთადერთი, განუმეორებელი, საოცარი ლურჯი ფირუზი. რამდენი შეუპოვრობა და გულმოდგინება დაჭირდება ადამიანს, რომ ერთი წამით თვალი შეავლოს ამ საგანძურს, და რამდენი ფული მას რომ სამუდამოდ დაეპატრონოს. საინტერესოა რის ფასად დათმობს პატრონი ასეთ საგანძურს. ან დათმობს კი? შეიძლება საბოლოოდ მაინც წამოეგოს ცდუნებას, თუმცა მე გულის სიღრმეში მჯერა რომ აქ, აზიისა და ევროპის შუაგულში ამ რასის სიამაყე გადაწონის ფულის და ოქროს სიხარბეს. თუ ამ ფასდაუდებელ ლაჟვარდს ვერ დაეუფლეთ შეიძლება იმედგაცრუებულმა გული სხვა რამეს გადააყოლოთ და ხელში ჩაიგდოთ მაგალითად დაღესტნული ლურჯი ხმალი, რომლითაც ალბათ ძველი სპარსელი მეომრები თავიანთ ჯარს ომში მიუძღვებოდნენ, ან ქართული მოვერცხლილი დამბაჩა ანდაც მოქროვილი სპილოს ძვალი.

მაგრამ ევროპასა და აზიას შორის მდებარე თბილისი ყველაზე მეტად იქ მცხოვრები ხალხების სიჭრელით მოგაჯადოებთ, რომლებიც არა მარტო უამრავ გასაოცარ ენებს ფლობენ, არამედ თავიანთი სახასიათო გარეგნობითაც გამოირჩევიან. უჩვეულო სახის ნაკვთებით და ტრადიციული სამოსით. უშეცდომოდ ამოიცნობთ თათარს თავისი გირჩის ფორმის ქუდში, აქვე დალანდავთ არწივისნაკვთიან ლეზგებს, შავგრემან სპარსელებს თავიანთ ბუმბულგაყრილი ქუდით, სომხებს თავიანთი ფართო ქუდებით, ოსმალებს მატყლის ფაშფაშა ქუდებით, ფაფახიან ქართველებს გულზე აბჯარასხმულებს. ადგილობრივი ჯენტლმენი, რომელსაც ჩაცმულობაზევე ეტყობა რომ მაღალი რანგის სამხედრო პირი უნდა იყოს ხანგრძლივი სამხედრო სამსახურ და ომგამოვლილი, მკლავების ჟღარუნით შემოალაჯებს სასტუმროს სასადილოში. კაცის აღნაგობა და ჩაცმულობა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ტო-



### თბილისი

ვებს და თვალს ვერ ვწყვეტ. ჩემს სიცოცხლეში არსად არ მინახვს ამდენი განსხვავებული, შთამბეჭდავი გარეგნობის ხალხი ერთად თავმოყრილი. მათი მედიდური მიხვრა-მოხვრა, ამაყი თავდაჭერილობა ევროპის პრინცებს, ელჩებსა და მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებსაც კი შეშურდებოდათ. მატყლის მოსასხამები, რომლის შიგნითაც იმალება ალისფერი აბრეშუმის შარვლები, ნაღებისფერი პერანგები, ნეკნებზე ლამაზად შემოხვეული და თეძოებზე მჭიდროდ მომდგარი, კარგად დამუშავებული რკინის ქამარი, რომელზეც მოვერცხლილი ხანჯალი, ხმალი



თბილისი - ღვინის მაღაზია

და დამბარა კონწიალობს, და კიდევ უამრავი უცნაური ნივთი. ამ უჩვეულო გარეგნობის მქონე ადამიანის სამოსს საბოლოოდ მკერდზე განლაგებული ვაზნების რიგი აგვირგვინებს. ამას დაუმატეთ თავზე დამხობილი ფაფახი და სამხედრო რანგის აღმნიშვნელი ნიშნები და ომში მიღებული ჯილდოები. ამის მატარებელი თითოეული ვაჟკაცი ომის გმირივით გამოიყურება.



როსტომი - გიდი

ქართველი ქალები მართლაც ისეთივე ლამაზები არიან როგორც მათზე ყვებიან? გათხოვებისას, რაც საკმაოდ ადრეულ ასაკში ხდება, ისინი ზომიერად მეტად განივრები და მსუქნები არიან, მოწიფულობის ასაკში კი მშვენიერებიან. მათ სახის სწორი და დახვეწილი ნაკვთები აქვთ, დიდი მშვიდი მუქი ფერის თვალები, სავსე ტუჩ-კბილი, თეთრი პირისახე, შავი თმა - რაც ჩვენთან, ევროპაში მიღებული და აღიარებული სილამაზისგან საკმაოდ შორსაა. მათ ტუჩებს ვნებიანი ჩურჩულიც შეუძლიათ და გამამხნეველელი სიმღერითაც აცილებენ თავიანთ ქმრებს ომში, როცა ამის დრო და საჭიროება დგება.

ბაზრის ყველაზე დიდ უცნაურობას ღვინო წარმოადგენს. კახეთის რეგიონში, რომელიც თბილისიდან არც ისე შორსაა, წითელ და თეთრ ღვინოს აყენებენ, და კიდევ აყენებენ ღვინოს, რომელიც არც წითელია და არც თეთრი, არამედ მოწითალო-მოყავისფრო პორტვინის ფერი და ყავისფერი ხერხის გემო დაჰკრავს. ეს უბრალო ხალხის ღვინოა, გროშის ფასი აქვს, თხელია და მჟავა, მაგრამ ნამდვილი. რა თქმა უნდა, ბევრი სასმისი მინახავს, ღვინის და წყლის ჭურჭელიც, მაგრამ ღვინით სავსე ხარი არსად შემხვედრია, დიახ, პატარა კავკასიური დუქნის კარში, ზურგზე გაწოლილი ხარის ფუტლიარი, რომელსაც ზემოთ აშვერილი ხელ-ფეხი და თავი მოჭრილი აქვს, ხოლო ღრიჭოები თავმოკრული. იქვე შეგიძლიათ მოითხოვოთ ჭიქა და თვალწინ გაგიხსნიან ხარს და მოგართმევენ ღვინოს. მთელი ქუჩა სავსეა ასეთი ხარის კატაკომბებით. სპარსულ ბაზართან მდებარე დუქანში რამდენიმე არაჩვეულებრივი საათი გავატარე, ნელა ვწრუპავდი სასმელს, მივირთმევდი შავ პურს, ვეწეოდი თამბაქოს და ვისმენდი სულისშემძვრელ ამბებს ლეგენდარულ შამილზე იმ ადამიანებისაგან, ვინც პირადად ათი წლის განმავლობაში იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

თბილისის კიდევ ერთ ფასდაუდებელ სიმდიდრეს მისი გოგირდის აბანოები შეადგენს. ისინი განლაგებულნი არიან ქალაქის მდიდრულ, თანამედროვე, ორნამენტული ფილებით მოპირკეთებულ შენობაში, სომხური ბაზრის შეაგულში. ცხელი გოგირდოვანი წყლის მსხვილი ნაკადი ხმაურით მოედინება მილებიდან და შადრევნის შხეფების ხმის მეტი არაფერი ისმის, ოხშივარასული წყლის მეტიც არაფერი ჩანს. თბილისური აბანოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მექისე. მე სპარსელი მექისე შემხვდა, რომელმაც ორიოდ რუსული სიტყვაც იცოდა. თავი გადაპარსული ჰქონდა, მხოლოდ თეძოებზე მჭიდროდ შემოხვეული პირსახოცის ამარა გამომეცხადა, ტერფები ნარინჯისფრად ჰქონდა შეღებილი. თავიდან საფუძვლიანად გამსაპნა, შემდეგ მარმარილოს შეზლოგზე პირქვე დაწოლა მიბრძანა, რის შემდეგაც მოხერხებულად მოექცა ჩემს ზურგს ზემოთ, თავისი ნარინჯისფერი ქუსლები ხერხემალში ჩამარჭო, შემდეგ კი ფრთხილი სიზუსტით აღმა-დაღმა დაუყვებოდა ჩემს ზურგს რიტმულად, ისე რომ არც ერთი კუნთი არ დარჩენია ყურადღების მიღმა. მისი ტერფების მოგზაურობა ჩემს კისერზე საბოლოოდ თავთან სრულდება. ბოლოს საპნის დიდ სურნელოვან ბუშტიში მომაქცია თითქოს თოვლის ნამქერში. აქამდე ყველაფერი ასატანია, თუმცა ცოტათი დამაბნეველი და საშიშიც. თუმცა ყველაფერი გავიწყდება დაბანვის შემდეგ ზეწარში გახვეულს და თვალებმინავლებულს,

მექისე სიგარეტს რომ მოგართმევს, სწორედ მაშინ გაიგებ ნარინჯისფერ ტერფიანთა აღმოსავლურ კეთილშობილურ განზრახვებს. აბანოში ექვსი შილინგი გადავიხადე. აზიაში სისუფთავე ყოველთვის ფუფუნებაა. მკითხველს ალბათ დააინტერესებს თუ როგორია პოლიტიკური გარემო ამ მრავალფეროვანი, განსხვავებული და ენერგიული ხალხებისაგან შემდგარ სახელმწიფოში და როგორია მათი დამოკიდებულება თავისი ძლიერი დამპყრობლის მიმართ.

ზოგადი წესია, რომ მიუხედავად მცირე ერებისათვის დამახასიათებელი ენთუზიასმისა და ენერჯისა, ისინი ნელანელა უჩინარდებიან უფრო ძლიერი და დიდი ერების ფონზე, რომლებიც პატარა ერებს პირდაპირ თუ ირიბად აკონტროლებენ და მართავენ, და არც კავკასიაა ამ მხრივ გამონაკლისი. რუსეთ-თურქეთის ომამდე, ქართველები საკმაოდ დიდ თანამდებობებს იკავებდნენ რუსეთის კარზე და დიდი პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდნენ, მაგრამ ომის დროს რუსებმა ქართველების მიმართ უნდობლობა გამოიჩინეს და მათი ერთგულება ეჭვქვეშ დააყენეს, რითიც სახელდახელოდ ისარგებლეს სომხებმა და საკუთარი ინტერესები წამოწიეს წინ. სომხები ზოგადად გამორჩევიან განსაკუთრებული უნარ-ჩვევებით ვაჭრობისა და ფინანსურ სფეროში. თუმცა თურქეთთან არსებული კონფლიქტის გამო წარმოშობილი პოლიტიკური დაძაბულობისა და აგიტაციის ფონზე, სომხებმაც მალე ქართველების ბედი იწვნიეს. შესაბამისად, რუსებმა თანდათანობით ჩამოაცილეს ქართველებიც და სომხებიც სერიოზულ პოზიციებს და ჩამოართვეს ის პრესტიჟი, პატივი და გავლენა, რომლითაც ისინი აქამდე სარგებლობდნენ მეფის კარზე. გასაკვირი არაა, რომ ამას ორივე ქვეყანაში წყენა და საპასუხოდ ეროვნული მგრძობელობის გამძაფრება მოჰყვა, რაც გამოიხატა ნაციონალური სამოსის, ლიტერატურის, კულტურის წინ წამოწევისა და წახალისებაში. ქართველმა ქალებმა ჭო-



კავკასიის რკინიგზის რუკა

რაობას უკლეს და პოლიტიკაზე მსჯელობას მიჰყვეს ხელი.

თუმცა, ამას რაიმე სერიოზული პოლიტიკური შედეგი რა თქმა უნდა არ მოყოლია. ოლივერ უორდროპი თავის წიგნში „საქართველოს სამეფო“ (1888 წ) წერს: რუსეთი სამომავლოდ რომ ომში ჩაებას, ამით საქართველო მაშინვე ისარგებლებს, დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და დარიალის ხეობაზე კონტროლს დააწესებს. იმავეს მოიმოქმედებენ სომხები და ლეზგებიც.“ ჩემი პირადი აზრით კი რუსეთის მტრებს იმედგაცრუება მოელოთ, რადგანაც საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობა წარსულს ჩაბარდა და მიუხედავად მათი მედიდურობისა, წარმოსადეგი აღნაგობისა და სამხედრო სამოსისა, მე სერიოზულად მეეჭვება, რომ მათ რუსეთთან დაპირისპირების და წარმატების რეალური ძალა და უნარი შესწევდეთ. პერიოდული აჯანყებები გამორიცხული არაა, თუმცა რუსეთისათვის მათი ჩახშობა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. წარმოუდგენლად ძალაგამოცლილი და განადგურებული უნდა იყოს რუსეთი რომ ეს დაუშვას. ამას გარდა, ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს, რატომ უნდა მოინდომონ ქართველებმა ასე დაჟინებით დამოუკიდებლობა, როცა ისინი ისედაც შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობენ და პრაქტიკულად იგივე უფლებები აქვთ, რაც თავად რუსებს, არ განიცდიან არანაირ შევიწროებას და სამხედრო სამსახურშიც საკმაოდ პატივისცემით ეპყრობიან. რომც მოხდეს ისე, რომ რუსეთმა შეწყვიტოს მისი მფარველობა, მაშინვე გამოჩნდება სხვა დიდი ძალა, მის დასაპატრონებლად, იმიტომ, რომ ვიმეორებ, მას არ ძალუძს საკუთარი თავის დაცვა, როგორც ეს ადრე შეეძლო, როცა მედგრად იდგა ევროპასა და აზიას შორის. ერთი სიტყვით, კავკასიის პატარა ერები პოლიტიკურ არენაზე დაბრკოლებას არ წარმოადგენენ.

წინა თავში ვახსენე რუსეთის სწრაფვა მზისა და თბილი წყლისკენ, და ამ მხრივ კავკასია ამის სანიმუშო მაგალითია. ჩემ მიერ წარმოდგენილ რუკას რომ თვალი შეავლოთ (რომელიც არსებული და დაგეგმილი სარკინიგზო გზების სრული მიმოხილვაა, და მეეჭვება ასეთ დეტალურ ცნობებს დღეს სხვა წყაროებში გაეცნოთ) ნათლად დაინახავთ როგორ ცდილობს რუსეთი სარკინიგზო ქსელისა და სატრანსპორტო გზების საშუალებით ფეხი მოიკიდოს სამხრეთით, მიწვდეს სპარსეთსა და მის თბილ კომერციულ ყურეს, იქიდან კი შორეულ აღმოსავლეთს. თბილისი-ყარსის დამაკავშირებელი სარკინიგზო გზა უკვე გაყვანილია, და იმავე მარშრუტის სხვა მსგავსი პროექტებიც განიხილება. უკვე დაიწყეს ახალი რკინიგზის გაყვანა ალექსანდროპოლის სამხრეთით მდებარე ქალაქიდან, რომელიც ერევნის გავლით ნახიჩევანისკენ მიემართება და მთავრდება ჯულფასთან, რომელიც რუსეთ სპარსეთის საზღვართან მდებარეობს. კიდევ ერთი სარკინიგზო გზა განიხილება, რომელიც ბაქოს დააკავშირებს ასტარასა და თავრიზთან. მნიშვნელოვანი სამხედრო გზა, რომელზეც ბევრს არც კი სმენია, ბათუმს აკავშირებს ართვინთან, შემდეგ არტაანთან, და სრულდება ყარსით. ასეთი მასშტაბის პროექტები, მაშინ როცა რუსეთს ფინანსურად არც ისე კარგად მისდის საქმე, მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს. და მე დარწმუნებული ვარ, მიუხედავად წინამდებარე საკითხის დიდი მიჩქმალვისა და საგულდაგულო გასაიდუმლოებისა აღნიშნული სარკინიგზო გეგმით



მოწყალების მთხოვნელი თბილისში

რუსეთს განუზრახავს სპარსეთის გავლით ოკეანესთან დაკავშირება, კერძოდ, გზა ჯულფის საზღვართან დაიწყება და ახარის გავლით დაუკავშირდება თავრიზს, თეირანს, ისპაჰანს, იეზდის და ბენდერ-აბასის გავლით საბოლოოდ ინდოეთის ოკეანეს. მაგრამ აღნიშნული სარკინიგზო პროექტი საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მწვავე და დელიკატური განხილვის საგანი გახდა, რასაც მოგვიანებით კიდევ მივუბრუნდები<sup>12</sup>.

აი, ასეთია კავკასია, ერთი შეხედვით, იმედი მაქვს ჩემი მონათხრობის წაკითხვის მერე, მიხვდებით რატომ მოვიხსენიე საქართველო მსოფლიოს ყველაზე საინტერესო, მაგრამ როგორი გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს, უსამართლოდ უგუვებელყოფილ ადგილად. მე დარწმუნებული ვარ, ეს მალე შეიცვლება, და მოგზაურები თუ ბიზნესმენები თავიანთ ყურადღებას მიაპყრობენ ამ პატარა კოხტა ქვეყანას.

---

<sup>12</sup> თაიმსი იუნყება, რომ სანდო წყაროების ცნობებით, რუსეთი აპირებს სარკინიგზო გზის გაყვანას, რომელიც ტრანს-კავკასიის ხაზს სპარსეთის პროვინციასთან ხორასანთან დააკავშირებს. აღნიშნული რკინიგზა სათავეს აშხაბადიდან აიღებს და მეშჰედამდე გაგრძელდება. როგორც ამბობენ რუსეთი ძალიან ცდილობს აღნიშნული პროექტი რაც შეიძლება მალე დაასრულოს, და სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დაწყებულიცაა, რომელშიც აქტიურადაა ჩართული ბატონი მ. სტროიეფი, იგი მეშჰედში რუსეთის საკონსულოს თარჯიმნადაა გამწესებული. აშხაბადში სჯერათ, რომ პროექტისათვის თანხა უკვე გამოყოფილია და დამტკიცებული. რუსეთის ბანკი მალე თავის ფილიალს გახსნის მეშჰედში, რათა პროექტის დაფინანსების საკითხები შეუფერხებლად წარიმართოს. პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნეს მენეჯერი, რომელიც ბანკის ფილიალს სათავეში ჩაუდგება, ასევე კიდევ ერთი მოხელე უკვე დაინიშნა თეირანიდანაც, და ალი ასკარ ხანიც, აშხაბადის სახელმწიფო ბანკის თარჯიმანი, ასევე გაამწესეს მეშჰედში. აღნიშნულ ცნობებს თაიმსი ამატებს, რომ მეშჰედის მაღალჩინოსნებს შორის დიდი უხერხულობა და გაურკვეველობა სუფევს, რამეთუ არ იციან თუ რას უნდა მოასწავებდეს რუსეთის მიერ წამოწყებული აღნიშნული სარკინიგზო პროექტი.


## ბაქოს ნავთობჭაბურღილები

ბედისწერამ ბევრ უცნაურობას შემყარა, თუმცა მათ შორის ბაქოს ნავთობჭაბურღილები ცალკე აღნიშვნის ღირსია. სასტუმროში მისვლისთანავე ტელეფონთან გამომიძახეს, ბატონ-მა ტვიდმა<sup>13</sup> თავისთან დამპატიჟა ბალახანში, რომელიც ექვსი მილის დაშორებით მდებარეობდა. შემომთავაზა ღამე მასთან გამეთია, ხოლო მეორე დღეს ერთად მოვინახულებდით ჭაბურღილებს. ასე აღმოვჩინე შუაღამისას, ბალახანის ტალახიან სადგურზე, საიდანაც ეტლით გავემგზავრე რუსეთის ნავთობისა და თხევადი საწვავის კომპანიის სათაო ოფისში. გარშემო გამეფებული სიბნელე ღამეს კიდევ უფრო მიუსაფარს და პირქუშს ხდიდა. პირამიდული, უშველებელი, უსწორმასწორო ნაგებობები ურჩხულებივით გვეფეთებოდნენ გზად. ნავთობის ბოლს ჰაერი დაემძიმებინა და გაესქელებინა. გათენებას მოუთმენლად ველოდი იმ იმედით რომ დილა ბოლოს მოუღებდა ჩემს ამ ჰადესში მოგზაურობას.

ღამის უსიამოვნო შეგრძნებები დილის აღფრთოვანებამ და დიდმა შთაბეჭდილებებმა შეცვალა. ნავთობის მოპოვების პროცესს ცოტაოდენი ფანტაზიით თუ შევხედავთ, იგი მოგვაგონებს ოქროს მაძიებლის, სპორტსმენის, ქირურგის, მექანიკოსისა და აზარტული თამაშების მოყვარულის საქმიანობას, მათ ნიშან-თვისებებსა და უნარ-ჩვევებს. მართლაც, ოქროს მაძიებელივით ნავთობის მოპოვებელმა შეიძლება ნავთობის ძიებაში წლები გალიოს, და უშედეგოდ, ანდაც ერთ მშვენიერ დღეს წააწყდეს საბადოს და ერთ ღამეში გამდიდრდეს. სპორტსმენივით შეიძლება ნადავლი ხელისგაწვდენაზე ეგულებოდეს, მაგრამ მეორე წუთს ხელიდან დაუსხლტეს. ქირურგის მსგავსად ის აუარებელ ინსტრუმენტს იყენებს, რათა ჩაატაროს ურთულესი ოპერაცია სიბნელეში, საკუთარ ინტუიციასა და მის წინ მდებარე სხეულის ზუსტ ცოდნას მინდობილმა. მექანიკოსის მსგავსად, მან უნდა გამოიგონოს ახალი და გამოსადეგი იარაღები, ხოლო აზარტული თამაშების მოყვარულის მსგავსად ის ბრმა ფსონებს დებს წაგებასა და მოგებაზე. მეტაფორებს რომ შევეშვათ, ეს არის ნავთობის მოპოვების უბრალო და ტექნიკური აღწერა.

მიუხედავად ამ სიმარტივისა, მე მიწის წიაღში წარმოქმნილი ნავთობი მაინც ბუნების სასწაულად და კურთხევად მიმაჩნია. ამჯერად მან მოწყალების თვალით კავკასიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ მხარეს, კერძოდ კი ბაქოს გადმოხედა, რომელიც გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ბოლო 15 თვეში 25 პროცენტით გაიზარდა, დროის ამავე პერიოდში ბინის ქირები გაორმაგდა. ეს არის ქალაქი, სადაც მოწესრიგებული ტრამვაის ხაზის კვალდაკვალ აქლემების ქარავანს შეიძლება გადააწყდეთ. რუსეთის იმპერიის ეს ერთ დროს ჩამორჩენილი ქვეყანა ახლა ფასდაუდებელი საგანძური გახდა. ადრე თუ მისი მიწის საიჯარო ფასი მინიმალური იყო, ნავთობის აღმოჩენის მერე ფასებმა არნახულად იმატა. მიწის შესყიდვის შემდეგ, ნავთობმოპოვებელი იწყებს ჭაბურღილის გათხრას. პირველ რიგში აღმართავს პირა-

<sup>13</sup> იგულისხმება ჭაბურღილების ბრინატელი მმართველი (რედ.)



### **ბაქოს ჭაბურღილები**

მიდის ფორმის ხის კონსტრუქციას, რომელსაც ნავთობსაბურღ კოშკურას იგივე დერიკ-კოშკურას ეძახიან, რომლის კენწერო ფართო ღარებიანი დისკოთი სრულდება. დაამონტაჟებს ძრავას და გრაგნილ დოლს და იწყებს გათხრებს. შახტის სიგანეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო განიერია შახტა, მით უფრო დიდია ე.წ. ბარელი იგივე გაჭიმული ჩამჩა, რომლითაც ნავთობი ზედაპირზე ამოყავთ, შესაბამისად დღიურად მიღებული ნავთობის რაოდენობაც უფრო დიდია და მასთან ერთად მოგებაც. დღეისათვის, ჭაბურღილის დამუშავებული რკინის მაქსიმალური სიგანე 28-30 ინჩია. ძელზე უშველებელი ნიჩაბი კონწიალობს. იგი

შახტაზეა მიმაგრებული და სულ ცოტა ნახევარ ტონას მაინც იწონის. ნიჩაბი ჰაერში ადი-ჩადის და ტრიალით მიწაში ეფლობა და ასე გრძელდება საათობით, ძალიან სწრაფად, ერთი წუთის განმავლობაში ნიჩაბი ბარემ 30-ჯერ ასწრებს მიწაში ჩაფლობას, რასაც თავისუფალ ვარდნას ეძახიან. ამის შემდეგ მიწას ამოიღებენ ბურღის საშუალებით და მის ადგილას უზარმაზარ მილს ჩადებენ. ჭაბურღილის გათხრისას იყენებენ უამრავი ზომისა და ფორმის ნიჩბებს. დროგამოშვებით ინციდენტებიც ხდება, რომლებმაც მთელი მოწყობილობა შეიძლება მოწყობრიდან გამოიყვანონ. შეიძლება ნიჩაბი გატყდეს, ანდაც აუზი ჩაიშალოს, ჯაჭვი ან ჭანჭიკი გაიჭედოს მოწყობილობაში, პატარა ქანჩის გასაღები ჩავარდეს ჭაბურღილში, რაც საკმარისია რომ თავისუფალი ვარდნა შეაფერხოს. მერე იწყება სანახაობა, თუმცა ჭაბურღილის მეპატრონისთვის ეს სანახაობა ნაკლებ თავშესაქცევია. მოწყობილობის შეკეთების პროცესი ჩემთვის საოცარი დავალება აღმოჩნდა, რომელმაც აღტაცებაში მომიყვანა. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ურთულესი ოპერაცია საოპერაციო მაგიდაზე კი არ სრულდება, არამედ 1 500 ფუტის ქვემოთ მიწაში, ხოლო თითოეული საოპერაციო ინსტრუმენტი იქნება ეს ბურღი, პინცეტი, ბრტყელტურჩა, ზონდი, ათასნაირი გამჭიმე იარაღები თუ სხვა, რაგინდ ძალიანაც არ უნდა ჰგავდეს ჩვეულებრივ საოპერაციო ხელსაწყოებს, სულ მცირე ნახევარ ტონას მაინც იწონის. ამას გარდა, ძნელია გამოიცირო კერძოდ რა დაშავდა ქვემოთ, რასაც აპარატის მოწყობრიდან გამოსვლა მოყვა. ნავთობ-ქირურგს ისღა დარჩენია თავის ვარაუდს, წარმოსახვას და ალღოს მიენდოს. შეიძლება პატარა ნაწილის ჭაბურღილში ჩავარდნამ აპარატი გააჩეროს და კარგ და ხელმარჯვე მექანიკოსს ექვსი თვე მაინც დაჭირდეს მის ამოსაღებად რადგან, როგორც წესი, ოპერაციამდე დიაგნოზის დასმაა საჭირო, ამ შემთხვევაში, შეფერხების გამომწვევი მიზეზის დადგენა, მისი მიგნება და გამოსწორება. ამიტომაცაა, რომ უღრმესი პატივისცემით ვიყავი განმსჭვალული იმ კავკასიელი პრინცის მიმართ, ვინც ამგვარ ოპერაციას შეეჭიდა. მას ხომ განუსაზღვრელი მოთმინების უნარი მართებს ამ რთულ საქმეში. მასთან შედარებით ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიპლომატიური მისიების ნუსხის გამოქვეყნების ლოდინი მონაგონია. მაგრამ მერწმუნეთ მას ეს შრომა ბოლოს დაუფასდება, როგორც კი გათხრების შემდეგ ნავთობის შრეს მიაკვლევენ. შლამიანი ქვიშა ნავთობის ყოფნას ადასტურებს და ნავთობ მაძიებლებს ყნოსვას უმძაფრებს. სამუშაო გამალებით გრძელდება, მავთულის ჯაჭვს 20-30 ფუტის სიგრძის ცილინდრს წამოაცვამენ, რომლის დიამეტრი მხოლოდ ერთ ან ორ ინჩს შეადგენს. მის ბოლოში მყვინთავი ონკანია დამაგრებული, რომლის ამოცანასაც ჭაბურღილის შიგნეულის გამორეცხვა წარმოადგენს, რათა შლამი და მიწა გადარეცხოს, სანამ ნანატრი ნავთობი არ გამოსუფთავდება. მერე კი იწყება დღენიადაგ ტუმბვა. 15-ოდე თვე მაინც გრძელდება ერთი ჭაბურღილის გათხრა და დაახლოებით 5-6 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდება. მარტო რკინის მილები, რომლებსაც 2 000 ფუტის სიღრმეში უშვებენ, 3 000 გირვანქის ღირებულებისაა. მაგრამ გამართლების შემთხვევაში ამ მილებმა შეიძლება დღიურად 500 მილიონი ტონა ნავთობი ამოიყვანონ დღის

სინათლეზე. ქაბურღილის საშუალო სიცოცხლისუნარიანობა 3 წელს შეადგენს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მას უფრო ხანგრძლივად ტუმბავენ. შეიძლება ისეც მოხდეს რომ გათხრებმა არაფრამდე მიიყვანოს ნავთობის მაძიებელი. აქედან სულ რაღაც 3 მილის მოშორებით რუსმა მექაბურღილემ 1 995 ფუტის სიღრმის ქაბურღილი გათხარა და ნავთობის კვალსაც კი ვერ მიაგნო. მაგრამ როგორც წესი ეს იშვიათად ხდება, რამეთუ მექაბურღილეებს გათხრებამდე უკვე შესწავლილი აქვთ ნიადაგი და ნავთობის არსებობის უტყუარი ნიშნებიც დადასტურებულია. აქ იჩენს თავს აზარტული თამაშების მოყვარულის ნიშან-თვისებები და ბედ-იღბალიც. ბრმა ფსონმა შეიძლება თავბრუდამხვევი წარმატება მოუტანოს მოთამაშეს. მან ერთ დღეში შეიძლება შადრევანი აღმოაჩინოს. შადრევანი ნავთობის არტეზიული ქაბურღილია, საიდანაც ნავთობი ქვემოდან დიდძალი წნევის შედეგად იფრქვევა და წუთში იძლევა იმოდენა ნავთობს, რომლის ამოტუმბვას ჩვეულებრივი ქაბურღილებიდან დღე-ღამე ჭირდება. რუსეთის ნავთობ კომპანიას ასეთმა შადრევანმა ორ თვეში 40 მილიონი გირვანქა სტერლინგის მოგება მოუტანა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბედნიერი დამთხვევის შედეგად შადრევანმა სწორედ იმ დღეს ამოხეთქა, როცა ქაბურღილის მაშინდელ მმართველთან ბატონ ტვიდთან ლონდონში გამოსამშვიდებლად მივედი. რა თქმა უნდა დაუყოვნებლივ გამოექანა ჩემთან შესახვედრად. მასთან საუკუნო ვალში ვარ, რამეთუ მისი წყალობით გავიგე და ვნახე ნავთობის მოპოვების ეს უაღრესად საინტერესო და მომაჯადოებელი პროცესი. თქმა არ უნდა რომ იგი საგანს სიღრმისეულად და საფუძვლიანად იცნობს. ასევე მისი დამსახურებით ბრიტანეთმა დიდძალი კაპიტალი ჩადო ბაქოს ნავთობის ბიზნესში. ამიტომაცაა, რომ მისი ენთუზიაზმი გადამდებია. ასეთია ნავთობის მოპოვების ტექნიკური მხარე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ქაბურღილის აღწერა იყო, წარმოიდგინეთ მთელს არემარეზე ათასობით შავი დერიკები, არხებითა და რეზერვუარებით დაქსაქსული, აუარებელი მილები ერთმანეთზე დაწყობილი, და მთლიანი ადგილი თუხთუხებს, ბოლავს, ხმაურობს, მძვინვარებს და ოხრავს. და რა გასაკვირია, თუკი ღამით ამ ყველაფრის შემხედვარე შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშ მოვექეცი. ბრიტანეთის მიერ ბაქოს ნავთობ ბიზნესში დაბანდებულ კაპიტალს თუ გავითვალისწინებთ, მკითხველისთვის შესაძლოა საინტერესო იყოს მცირე შემაჯამებელ სტატისტიკურ მონაცემებს თუ მოვიყვანთ, რამეთუ ისინი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემენ ამ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. 1899 წლისათვის 160 კომპანია საქმიანობდა რეგიონში, რომელთა საკუთრებაში იყო 1 357 მოქმედი ქაბურღილი. ამ ფირმებიდან ბოლო ორ წელიწადში 62 დაიხურა, ხოლო 26 ჯერ კიდევ ბურღვის სტადიაზეა. მათი ყველა მცდელობა როგორმე „ამოეყვანათ“ ზედაპირზე არნახული რაოდენობის ნავთობი აფშერონის ნახევარკუძულის 5 ისეთი ყველაზე პოტენციური და დამაიმედებელი რეგიონებიდან, როგორიცაა ბიბი ეიბატი, ბალახანი, საბუნჩი, რომანი და ბინაგადი უშედეგოდ დასრულდა. 1899<sup>14</sup> წლის ე.წ „მოსავალმა“ (სადაც ბინაგადის წილი უმნიშვნელო იყო) 2 167 801 130 გალონი შეადგინა, რაც 1899 წელს მიღე-

ბულ ნავთობზე 162 000 000 გალონით მეტი იყო. მაგრამ ამ ზრდამ სიცრუეში არ უნდა შეგვიყვანოს. პირველ რიგში, ზრდის დონე წინა წლებთან შედარებით დაბალია, და მეორეც, მიღებული ნავთობის ზრდას თითქმის აბათილებს გათხრითი და ბურღვითი სამუშაოების გაზრდილი ფასი. 1899 წელს მარტო ბურღვით სამუშაოებზე 2 600 000 ფუნტი სტერლინგი დაიხარჯა. მთლიანობაში 572 761 ფუტის სიღრმის ჭაბურღილები გათხარეს, მაშინ როცა ეს ციფრი წინა წელს 402 605 ფუტს შეადგენდა. ნავთობის მისაღებად გაწეული ძალისხმევისა და სამუშაოების დონე 42 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნავთობის რაოდენობა მხოლოდ 8 პროცენტით. ეს დიდ მოგებაზე არ მეტყველებს დამეთანხმებით. თუმცა ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი ჭაბურღილი განსაკუთრებით კი ბიბი ეიბატის ტერიტორიაზე განლაგებულები, მხოლოდ წლის მეორე ნახევარში გათხარეს და შესაბამისად ისინი ჯერ ნავთობსაც არ იძლეოდა. თუმცა ტენდენცია მაინც თვალშისაცემად გამოიკვეთა: რეგიონში ნავთობის მიღება აღარაა წინანდელივით ნაყოფიერი და მოსავლიანი. უმოქმედო ჭაბურღილების რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა მოქმედი ჭაბურღილების რიცხვი მხოლოდ 24 პროცენტით. 5 წლის განმავლობაში, მხოლოდ საბუნჩის და ბალახანის ჭაბურღილებმა აჩვენა მაქსიმალური ზრდა. მაგრამ ყველაზე გასათვალისწინებელი ფაქტი ისაა, რომ ე.წ შადრევნების რაოდენობამ დაიკლო ერთი ნახევრით და ჭაბურღილების საშუალო მოსავლიანობა სტაბილურად შემცირდა. ამას ქვემოთ მოყვანილ გრაფაშიც ნათლად დაინახავთ. მაშინ როცა 1895 წელს ჭაბურღილების მხოლოდ 2 პროცენტი იყო „ღრმა“ ანუ 1 400 ფუტზე მეტი სიღრ-

	ჭაბურღილის საშუალო მოსავლიანობა გალონებში	ჭაბურღილის სიღრმე ფუტებში
1895	2 578 996	853
1896	2 171 922	895
1897	1 926 292	897
1898	1 811 672	917
1899	1 597 495	937

მის, და მთლიანი ნავთობის 5.4 პროცენტს იძლეოდა, 1899 წელს, ჭაბურღილების 10 პროცენტი იყო „ღრმა“ და მთლიანი ნავთობის 29 პროცენტს იძლეოდა. შესაბამისად დასკვა, ნავთობის მოპოვება ბაქოდან იკლებს და სამომავლოდ უფრო ღრმა გათხრები იქნება საჭირო, რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული და ნავთობის წყაროს საბოლოო ამოშრობასთან. ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, თითქოს რუსეთმა ნავთობ საბადოების ახალ კვალს მიაგნო ბაქოდან საკმაოდ შორს. გასაგები მიზეზების გამო, რუსეთი ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებს. ასევე ცხადია რომ კავკასიის სხვა ნაწილებშიც მიაკვლევენ ნავთობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში სპეციალისტი არ გახლავართ, აღნიშნული

<sup>14</sup> აღნიშნული მონაცემები აღებულია ბაქოში ნავთობ ინდუსტრიის რუსეთის ზედამხედველის მოხსენებიდან, რომელიც Viestnik Finansof-ში დაიბეჭდა.

მონაცემები მაინც ყურადსაღებია, განსაკუთრებით ბაქოს რეგიონში ნავთობ ბიზნესით დაინტერესებულთათვის.

კასპიის ზღვის გავლით ბაქოდან აზიის შუაგულისკენ ვიღებ გეზს. იქ მელიან საქვეყნოდ ცნობილი და ველური ქალაქები. იმდენად შორი და მიუსავალი, რომ ძველ დროში მარტო იქამდე ჩაღწევაც კი საგმირო საქმედ ითვლებოდა. ახლა კი ისეა ჩართული მსოფლიო ვაჭრობის ქარცეცხლში, რომ ინფორმაცია ბამბის ფასზე ყოველდღიურად ტელეგრაფის საშუალებით მიეწოდებათ.



**ბაქოს რკინიგზის სადგური**

